

შპს „ენერჯიკა“ ჯგუფი

2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	8
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	9
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	10
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	11
1. ძირითადი საქმიანობა	12
2. მომზადების საფუძველი	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	13
4. ძირითადი საშუალებები	21
5. არამატერიალური აქტივები	23
6. ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოში.....	24
7. მარაგები	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	25
10. კაპიტალი.....	25
11. მიღებული სესხები.....	26
12. აქტივებთან დაკავშირებული გრანტი.....	29
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
14. შემოსავალი	31
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	31
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	32
17. რეალიზაციის ხარჯები.....	31
18. წმინდა ფინანსური ხარჯი	32
19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	32
20. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან.....	33
21. მოგების გადასახადი.....	33
22. სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკების მართვა	33
23. პირობითი ვალდებულებები	37
24. კაპიტალის მართვა.....	37
25. დაკავშირებული მხარეები.....	37
26. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ენგურჰესის“ ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „ენგურჰესის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის – „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

შპს „ენგურჰესის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში გამოვავლინეთ რიგი საკითხები (ქვემოთ განთავსებული პუნქტები 1–დან 7-მდე), რომლებმაც გამოიწვია პირობითი მოსაზრება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული საკითხები კონსოლიდირების დონეზე დაუდასტურებლად რჩება და მათი შესაძლო გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება იყოს არსებითი.

გარდა ამისა, შპს „ვარდნილჰესების კასკად“-ის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის არსებით კომპონენტს, აუდიტისას ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები ქვემოთ (პუნქტები 8–10) აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა მოსაზრების გამოთქმაზე უარი. აღნიშნული კომპონენტის საქმიანობის მასშტაბისა და ჯგუფის შედეგებზე მისი გავლენის მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებაში არსებული აღნიშნული შეზღუდვები ყოვლისმომცველია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობამ, როგორც მშობელი კომპანიის დონეზე მოუგვარებელმა საკითხებმა, ასევე შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების ყოვლისმომცველმა შეუძლებლობამ, არ მოგვცა შესაძლებლობა მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აზრის გამოსახატად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე.

1. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) დაიქირავა კვალიფიციური დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანია („ექსპერტი“), რათა შეეფასებინა საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების შედეგად განისაზღვრა ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება 457,262,936 ლარის ოდენობით, მიუხედავად ამისა კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კვლავ წარადგინა ძირითად საშუალებები 398,101,860 ლარის საბალანსო ღირებულებით, მიმდინარე და წინა წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირების გარეშე. მშობელი კომპანია ძირითად საშუალებებს აფასებს თვითღირებულების მოდელით ბასს 16-ის შესაბამისად და არ იყენებს გადაფასების მოდელს. თუმცა, მიღებული შეფასება აუცილებელი იყო იმ გაურკვევლობების გამოსასწორებლად, რომლებიც დაკავშირებული იყო დასაშვებ ღირებულებასთან და შეფასების ისტორიულ საკითხებთან, რომლებიც საფუძვლად დაედო წინა წლის მოსაზრების გამოთქმაზე უარს. ჩვენი აზრით, მშობელ კომპანიას უნდა შეესწორებინა ძირითადი საშუალებების ღირებულება შეფასების შეცდომების გამოსასწორებლად, მიუხედავად იმისა, გამოყენებული იქნებოდა თუ არა გადაფასების მოდელი. გარდა

ამისა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კატეგორიისთვის მინიჭებული სასარგებლო გამოყენების ვადა შესაძლოა სრულად არ ასახავდეს მათი ინდივიდუალური კომპონენტების რეალურ სასარგებლო მომსახურების ვადას. სხვადასხვა აქტივებზე, როგორიცაა შენობები, დანადგარები, მიწის სამუშაოები, გვირაბები და კაშხლები, გამოყენებულია სასარგებლო გამოყენების ფართო დიაპაზონი, რაც შესაძლოა სათანადოდ არ ასახავდეს ამ აქტივების განსხვავებულ მოვლა-პატრონობის მოთხოვნებსა და მოხმარების ნორმებს. ეს ქმნის ცვეთასა და აქტივების შეფასებაში პოტენციური უზუსტობების რისკს და ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისობის დასადასტურებლად. იმის გამო, რომ მშობელმა კომპანიამ არ ასახა გარე შეფასების შედეგები და არ გადააფასა თავისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ამ ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭიროა თუ არა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებისა და მასთან დაკავშირებული ცვეთის დამატებითი კორექტირება. ეს საკითხები იწვევს ძირითადი საშუალებებისა და ამორტიზაციის ხარჯების არსებით უზუსტობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

2. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) თავის სააქციო კაპიტალში მიიღო არაფულადი შენატანი 5.715 მილიონი ლარის ოდენობით, ძირითადი საშუალებების სახით, რომელიც წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ შეიტანა თავის შვილობილ კომპანიაში 5.712 მილიონი ლარის ოდენობით. ჩვენთვის არ იქნა მოწოდებული შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) შესაბამისად მომზადებული, სამართლიანი ღირებულების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს ან აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას მათი შესაბამისი აღიარების თარიღების მდგომარეობით. გარდა ამისა, ჩვენ არ მოგვაწოდეს შესაბამისი მტკიცებულებები განხორციელებული ტრანზაქციების ზუსტი ბუნების დასადგენად. შესაბამისი მტკიცებულებებისა და სამართლიანი ღირებულების შეფასების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, ასახავს თუ არა არაფულადი შენატანისა და შვილობილი კომპანიისთვის გადაცემული ძირითადი საშუალებების რეგისტრირებული თანხები ფასს-ის შესაბამისი შეფასების შედეგებს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭიროა თუ არა ამ თანხების ან მასთან დაკავშირებული კაპიტალის ბალანსებისა თუ შენიშვნების კორექტირება.
3. მშობელი კომპანია (შპს ენგურჰესი), 2022 წელს ხელმოწერილი ძირითადი დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში, იღებს სახელმწიფო გრანტებს, რომლებიც წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად გაიცემა. ჩვენი დაკვირვებით, მშობელი კომპანია აღიარებს სავალუტო გადაფასებით მიღებულ მოგებას და ზარალს, რომელიც წარმოიქმნება გრანტის მიღებისა და მასთან დაკავშირებული ფულადი ან არაფულადი ანგარიშწორების მომენტს შორის დროის სხვაობით, შესაბამისი საგრანტო აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირების ნაცვლად. ეს აღრიცხვის მეთოდი არ შეესაბამება ბასს 20-ის „სახელმწიფო გრანტების აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების გამჟღავნება“ მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს, რომ გრანტები შეფასდეს იმ ძირითადი აქტივის ან ხარჯის საფუძველზე, რომელსაც ისინი ეხება და არ წარმოქმნას სავალუტო მოგება ან ზარალი, რომელიც არ არის დაკავშირებული გრანტის ეკონომიკურ შინაარსთან. გარდა ამისა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ მშობელმა კომპანიამ მიმდინარე წელს აღიარა 2.8 მილიონი ლარის აღნიშნული ტიპის სავალუტო მოგება, რომელიც ეხებოდა წინა პერიოდებს, შედარებითი მაჩვენებლების ან საწყისი ნაშთების კორექტირების გარეშე. შესაბამისი კორექტირებისა და დამადასტურებელი გამოთვლების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, სწორად იყო თუ არა შეფასებული და გამჟღავნებული, მიღებული გრანტები, მათთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები და სავალუტო კურსების გავლენა.
4. როგორც მე-18 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიამ წლის განმავლობაში 14.3 მილიონი ლარის ოდენობის საპროცენტო ხარჯი აღიარა (2023: 9.2 მილიონი ლარი). ჩვენი აუდიტის დროს შევნიშნეთ, რომ ფინანსთა სამინისტროსგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯები აღიარებულა სამინისტროს მიერ მითითებული და იმავდროულად დაფარული საპროცენტო თანხების საფუძველზე, რომლებსაც სამინისტრო არ ანაწილებს დარიცხვის საფუძველზე შესაბამის საანგარიშო პერიოდებს შორის. შესაბამისად, კომპანია საპროცენტო ხარჯებს აღიარებს გადახდილი ფაქტობრივი თანხების საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენების ნაცვლად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ საპროცენტო ხარჯები აღიარდეს დარიცხვის საფუძველზე, რაც ასახავს დროის გასვლას და სესხის დაუფარავ ნაშთებზე გამოყენებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. იმის გამო, რომ შესაბამისი სუბიექტები არ ანაწილებენ პროცენტს პერიოდულად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, შეფასდა თუ არა საპროცენტო ხარჯები, დარიცხული ვალდებულებები და სესხების საბალანსო

ღირებულებები ფასს-ის შესაბამისად, ან საჭირო იქნებოდა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირება.

5. როგორც მე-6 შენიშვნაშია აღწერილი, მშობელი კომპანია (შპს ენგურჰესი) ფლობს 100%-იან წილს შპს „ვარდნილჰესების კასკადი 2“-ში. ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ შესაბამისად, მშობელი კომპანია ვალდებულია დაიკონსოლიდიროს ყველა ის ერთეული, რომელზეც გააჩნია კონტროლი. მიუხედავად ამისა, მშობელმა კომპანიამ არ განახორციელა აღნიშნული შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია და ინვესტიცია აღრიცხა თვითღირებულების მეთოდით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა ამ ფასს-იდან გადახრის შედეგები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის გავლენა აქტივებზე, ვალდებულებებზე, კაპიტალზე, შემოსავლებზე და ხარჯებზე.
6. მშობელი კომპანიის (შპს ენგურჰესი) ჰიდროელექტროსადგური და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მდებარეობს აფხაზეთის რეგიონში, სადაც არსებობს მიმდინარე გეოპოლიტიკური არასტაბილურობა. ჰიდროელექტროსადგურების აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის გვირაბები, არხები, გადამცემი ხაზები და დაახლოებით 30 კილომეტრზე გადაჭიმული დამხმარე სამოქალაქო ნაგებობები, მდებარეობს ისეთ ადგილებში, რომლებიც მშობელი კომპანიისთვის სრულად ხელმისაწვდომი არ არის და საქართველოს ხელისუფლების ეფექტური კონტროლის მიღმაა. ეს გარემოებები ქმნის თანდაყოლილ გაურკვევლობას ოპერაციების უწყვეტობასა და ამ აქტივებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გრძელვადიან ანაზღაურებასთან მიმართებით, და კომპანიის უნარზე, შეინარჩუნოს, გამოიყენოს და მიიღოს მომავალი ფულადი ნაკადები ინფრასტრუქტურიდან, რადგან ამაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რეგიონის პოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოში განვითარებულმა მოვლენებმა. გეოპოლიტიკური დამაბულობის გაგრძელება ზრდის რისკს, რომ მშობელ კომპანიას ნებისმიერ დროს შეიძლება შეექმნას შეზღუდვები აქტივებზე წვდომაზე, შეზღუდვები ტექნიკური მომსახურების მიღებაზე ან ელექტროენერგიის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად გამოყენებაზე. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება იქონიოს გავლენა ჰიდროელექტროსადგურის აქტივებზე მომავალში მშობელი კომპანიის კონტროლის მიღმა არსებულმა მოვლენებმა.
7. 2020 წელს მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) ფინანსურ ანგარიშგებაში შეწყვიტა აქტივთან დაკავშირებული გრანტების აღიარება 11,845 ათასი ლარის ოდენობით და ასახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი. თუმცა, აუდიტის პროცედურების მეშვეობით ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, სრულად ეკუთვნოდა თუ არა აღნიშნული შემოსავალი 2020 წლის ანგარიშგების პერიოდს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, იყო თუ არა საჭირო მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირება.
8. შპს ვარდნილჰესების კასკადმა (შვილობილი) ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად პირველად 2008 წელს მოამზადა, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის №295 ბრძანების შესაბამისად, როგორც სავარაუდო ღირებულება. ეს მიდგომა სრულად არ შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს პირველადი გამოყენებისთვის. გარდა ამისა, ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება, როგორც ეს მოცემულია მე-6 შენიშვნაში, მოიცავს 2000 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში კაპიტალიზებულ რეაბილიტაციის ხარჯებს, რომელთათვისაც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადაგენად, აკმაყოფილებს თუ არა ასეთი ხარჯები ფასს-ის მიხედვით აქტივებად კლასიფიკაციისა და აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, შეუძლებელია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების ზუსტი დადგენა. გარდა ამისა, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება 2020 წლის 1 იანვრამდე აღიარებული 111,394 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების დასადასტურებლად, რაც მოიცავს კაპიტალის სახით შეტანილ თანხებს და 2018 წლიდან დაუმთავრებელი მშენებლობის სახით აღრიცხულ 1,430 ათასი ლარს, რომელის დასრულებაც მოსალოდნელი არ არის. კომპანიას არ ჩაუტარებია დაუმთავრებელი მშენებლობის ბალანსის გაუფასურების შეფასება, მიუხედავად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მტკიცებულებების არარსებობისა. გარდა ამისა, 2023 წლის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ არაფულადი შენატანის სახით 7.4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა; თუმცა, ჩვენ ვერ შევძელით მისი სამართლიანი ღირებულების სრულად გადამოწმება დამხმარე დოკუმენტაციის შეზღუდული რაოდენობის გამო. ჩვენ ასევე შევნიშნეთ, რომ ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კატეგორიისთვის მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადები შესაძლოა სრულად არ ასახავდეს მათი ინდივიდუალური კომპონენტების რეალურ სასარგებლო

მომსახურების ვადას. სხვადასხვა აქტივებზე, როგორიცაა შენობები, დანადგარები, მიწის სამუშაოები, გვირაბები და კაშხლები, გამოყენებული იქნა სასარგებლო მომსახურების ვადების ფართო დიაპაზონები, რომლებიც შეიძლება არ ითვალისწინებდეს თითოეული კომპონენტის სპეციფიკურ მოვლა-პატრონობის საჭიროებებს და სხვადასხვა სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური უზუსტობები ამორტიზაციასა და აქტივების შეფასებაში, რადგან ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.

9. შპს ვარდნილჰესების კასკადი (შვილობილი) მართავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 40 კილომეტრ ტერიტორიაზე, მისი ინფრასტრუქტურა მდებარეობს მიწაზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენება კომპანიის მიერ, ჯერ არ არის იურიდიულად გადაცემული კომპანიაზე და შესაბამისად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა, ამ მიწაზე აშენებულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, მათ შორის კაშხალი, შენობები და სხვა ნაგებობები. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი არ არის ასახული კომპანიის ანგარიშებზე, ჩვენ ვერ დავადასტურეთ მისი ღირებულება და ვერ დავრწმუნდით, რომ ყველა აქტივი სრულად არის თუ არა აღრიცხული. ძირითადი ინფრასტრუქტურის არსებობა გეოპოლიტიკური არასტაბილურობის მქონე რეგიონში იწვევს გაურკვევლობას ამ აქტივების გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებით. ამ ვითარებამ შეიძლება ასევე იმოქმედოს აღრიცხული აქტივების სისრულეზე, რადგან ტერიტორიის ძირითადი ნაწილი არ არის კონტროლირებადი, რაც ართულებს რწმუნების მიღებას, არის თუ არა აღრიცხული ყველა აქტივი.
10. ჩვენ ვერ დავესწარიტ შპს ვარდნილჰესების კასკადის მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2024 წლის ბოლო მდგომარეობით, რადგან მნიშვნელოვანი აქტივები, მათ შორის კაშხალი მდებარეობს კონფლიქტურ რეგიონში. ამ გარემოებამ შეგვიზღუდა აღნიშნული აქტივების ფიზიკური შემოწმების შესაძლებლობა. აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 109,300 ათასი ლარი (2023: 113,507 ათასი ლარი). მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურების ჩატარება მარაგებისა და ძირითადი საშუალებების წლის ბოლო რაოდენობის დასადგენად. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა იყო თუ არა საჭირო რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში.
11. როგორც მე-5 შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფის არამატერიალურ აქტივებში შედის საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც სრულად ეკუთვნის შპს „ენგურის ჰიდროაკუმულირებულ ელექტროსადგურს“. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს ჰიდროაკუმულირებული ობიექტის კონცეპტუალური და ტექნიკური პროექტირების დასრულებულ ეტაპს - ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის მასშტაბურ დაგროვებას ზედა და ქვედა წყალსაცავებს შორის წყლის გადატანის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ეტაპი დასრულებულია, მენეჯმენტს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება სამშენებლო ფაზის დაწყებასთან დაკავშირებით. განვითარების დანამდვილებული გეგმის არარსებობა და პროექტის განხორციელების ვადებისა და შესაძლო რეალიზაციის შესახებ არსებული გაურკვევლობა წარმოადგენს გაუფასურების ნიშნებს ბასს 36-ის შესაბამისად. თუმცა, ჯგუფს არ ჩაუტარებია გაუფასურებუს ტესტი იმის დასადგენად, არის თუ არა აღნიშნული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება აღდგენადი. ასეთი შეფასების არარსებობის პირობებში, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და ადეკვატური აუდიტორული მტკიცებულება იმის დასადგენად, საჭიროებდა თუ არა აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულება კორექტირებას. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, აუცილებელია თუ არა ცვლილებები არამატერიალურ აქტივებსა და მათთან დაკავშირებულ განმარტებით ცნობებში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა (Reg. # SARAS-A-577214)

27 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ენგურჰესის“ ჯგუფის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიჩირავს შპს „ენგურჰესის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

შპს „ენგურჰესის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში გამოვავლინეთ რიგი საკითხები (ქვემოთ განთავსებული პუნქტები 1-დან 7-მდე), რომლებმაც გამოიწვია პირობითი მოსაზრება მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული საკითხები კონსოლიდირების დონეზეც დაუდასტურებლად რჩება და მათი შესაძლო გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება იყოს არსებითი.

გარდა ამისა, შპს „ვარდნილჰესების კასკად“-ის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის არსებით კომპონენტს, აუდიტისას ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები ქვემოთ (პუნქტები 8-10) აღწერილ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა მოსაზრების გამოთქმაზე უარი. აღნიშნული კომპონენტის საქმიანობის მასშტაბისა და ჯგუფის შედეგებზე მისი გავლენის მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებაში არსებული აღნიშნული შეზღუდვები ყოვლისმომცველია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობამ, როგორც მშობელი კომპანიის დონეზე მოუგვარებელმა საკითხებმა, ასევე შვილობილ კომპანიასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების ყოვლისმომცველმა შეუძლებლობამ, არ მოგვცა შესაძლებლობა მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აზრის გამოსახატად. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე.

1. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) დაიქირავა კვალიფიციური დამოუკიდებელი საშემფასებლო კომპანია („ექსპერტი“), რათა შეეფასებინა საკუთრებაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასების შედეგად განისაზღვრა ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება 457,262,936 ლარის ოდენობით, მიუხედავად ამისა კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კვლავ წარადგინა ძირითად საშუალებები 398,101,860 ლარის საბალანსო ღირებულებით, მიმდინარე და წინა წლის ფინანსური ანგარიშგების კორექტირების გარეშე.

- მშობელი კომპანია ძირითად საშუალებებს აფასებს თვითღირებულების მოდელით ბასს 16-ის შესაბამისად და არ იყენებს გადაფასების მოდელს. თუმცა, მიღებული შეფასება აუცილებელი იყო იმ გაურკვევლობების გამოსასწორებლად, რომლებიც დაკავშირებული იყო დასაშვებ ღირებულებასთან და შეფასების ისტორიულ საკითხებთან, რომლებიც საფუძვლად დაედო წინა წლის მოსაზრების გამოთქმაზე უარს. ჩვენი აზრით, მშობელ კომპანიას უნდა შეესწორებინა ძირითადი საშუალებების ღირებულება შეფასების შეცდომების გამოსასწორებლად, მიუხედავად იმისა, გამოყენებული იქნებოდა თუ არა გადაფასების მოდელი. გარდა ამისა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კატეგორიისთვის მინიჭებული სასარგებლო გამოყენების ვადა შესაძლოა სრულად არ ასახავდეს მათი ინდივიდუალური კომპონენტების რეალურ სასარგებლო მომსახურების ვადას. სხვადასხვა აქტივებზე, როგორიცაა შენობები, დანადგარები, მიწის სამუშაოები, გვირაბები და კაშხლები, გამოყენებულია სასარგებლო გამოყენების ფართო დიაპაზონი, რაც შესაძლოა სათანადოდ არ ასახავდეს ამ აქტივების განსხვავებულ მოვლა-პატრონობის მოთხოვნებსა და მოხმარების ნორმებს. ეს ქმნის ცვეთასა და აქტივების შეფასებაში პოტენციური უზუსტობების რისკს და ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისობის დასადასტურებლად. იმის გამო, რომ მშობელმა კომპანიამ არ ასახა გარე შეფასების შედეგები და არ გადააფასა თავისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ამ ახალი ინფორმაციის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭიროა თუ არა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებისა და მასთან დაკავშირებული ცვეთის დამატებითი კორექტირება. ეს საკითხები იწვევს ძირითადი საშუალებებისა და ამორტიზაციის ხარჯების არსებით უზუსტობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.
2. როგორც მე-4 შენიშვნაში აღნიშნული, წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) თავის სააქციო კაპიტალში მიიღო არაფულადი შენატანი 5.715 მილიონი ლარის ოდენობით, ძირითადი საშუალებების სახით, რომელიც წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ შეიტანა თავის შვილობილ კომპანიაში 5.712 მილიონი ლარის ოდენობით. ჩვენთვის არ იქნა მოწოდებული შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS) შესაბამისად მომზადებული, სამართლიანი ღირებულების ანგარიში, რომელიც განსაზღვრავს ან აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას მათი შესაბამისი აღიარების თარიღების მდგომარეობით. გარდა ამისა, ჩვენ არ მოგვაწოდეს შესაბამისი მტკიცებულებები განხორციელებული ტრანზაქციების ზუსტი ბუნების დასადგენად. შესაბამისი მტკიცებულებებისა და სამართლიანი ღირებულების შეფასების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, ასახავს თუ არა არაფულადი შენატანისა და შვილობილი კომპანიისთვის გადაცემული ძირითადი საშუალებების რეგისტრირებული თანხები ფასს-ის შესაბამისი შეფასების შედეგებს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭიროა თუ არა ამ თანხების ან მასთან დაკავშირებული კაპიტალის ბალანსებისა თუ შენიშვნების კორექტირება.
3. მშობელი კომპანია (შპს ენგურჰესი), 2022 წელს ხელმოწერილი ძირითადი დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში, იღებს სახელმწიფო გრანტებს, რომლებიც წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად გაიცემა. ჩვენი დაკვირვებით, მშობელი კომპანია აღიარებს სავალუტო გადაფასებით მიღებულ მოგებას და ზარალს, რომელიც წარმოიქმნება გრანტის მიღებისა და მასთან დაკავშირებული ფულადი ან არაფულადი ანგარიშწორების მომენტს შორის დროის სხვაობით, შესაბამისი საგრანტო აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების კორექტირების ნაცვლად. ეს აღრიცხვის მეთოდი არ შეესაბამება ბასს 20-ის „სახელმწიფო გრანტების აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების გამჟღავნება“ მოთხოვნებს, რომელიც მოითხოვს, რომ გრანტები შეფასდეს იმ ძირითადი აქტივის ან ხარჯის საფუძველზე, რომელსაც ისინი ეხება და არ წარმოქმნას სავალუტო მოგება ან ზარალი, რომელიც არ არის დაკავშირებული გრანტის ეკონომიკურ შინაარსთან. გარდა ამისა, ჩვენ შევნიშნეთ, რომ მშობელმა კომპანიამ მიმდინარე წელს აღიარა 2.8 მილიონი ლარის აღნიშნული ტიპის სავალუტო მოგება, რომელიც ეხებოდა წინა პერიოდებს, შედარებით მაჩვენებლების ან საწყისი ნაშთების კორექტირების გარეშე. შესაბამისი კორექტირებისა და დამადასტურებელი გამოთვლების არარსებობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, სწორად იყო თუ არა შეფასებული და გამჟღავნებული, მიღებული გრანტები, მათთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები და სავალუტო კურსების გავლენა.

4. როგორც მე-18 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიამ წლის განმავლობაში 14.3 მილიონი ლარის ოდენობის საპროცენტო ხარჯი აღიარა (2023: 9.2 მილიონი ლარი). ჩვენი აუდიტის დროს შევნიშნეთ, რომ ფინანსთა სამინისტროსგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯები აღირიცხება სამინისტროს მიერ მითითებული და იმავდროულად დაფარული საპროცენტო თანხების საფუძველზე, რომლებსაც სამინისტრო არ ანაწილებს დარიცხვის საფუძველზე შესაბამის საანგარიშო პერიოდებს შორის. შესაბამისად, კომპანია საპროცენტო ხარჯებს აღიარებს გადახდილი ფაქტობრივი თანხების საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენების ნაცვლად, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ საპროცენტო ხარჯები აღიარდეს დარიცხვის საფუძველზე, რაც ასახავს დროის გასვლას და სესხის დაუფარავ ნაშთებზე გამოყენებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. იმის გამო, რომ შესაბამისი სუბიექტები არ ანაწილებენ პროცენტს პერიოდულად, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, შეფასდა თუ არა საპროცენტო ხარჯები, დარიცხული ვალდებულებები და სესხების საბალანსო ღირებულებები ფასს-ის შესაბამისად, ან საჭირო იქნებოდა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირება.
5. როგორც მე-6 შენიშვნაშია აღწერილი, მშობელი კომპანია (შპს ენგურჰესი) ფლობს 100%-იან წილს შპს „ვარდნილჰესების კასკადი 2“-ში. ფასს 10 „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების“ შესაბამისად, მშობელი კომპანია ვალდებულია დაიკონსოლიდროს ყველა ის ერთეული, რომელზეც გააჩნია კონტროლი. მიუხედავად ამისა, მშობელმა კომპანიამ არ განახორციელა აღნიშნული შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია და ინვესტიცია აღრიცხა თვითღირებულების მეთოდით. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა ამ ფასს-იდან გადახრის შედეგები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათ შორის გავლენა აქტივებზე, ვალდებულებებზე, კაპიტალზე, შემოსავლებზე და ხარჯებზე.
6. მშობელი კომპანიის (შპს ენგურჰესი) ჰიდროელექტროსადგური და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მდებარეობს აფხაზეთის რეგიონში, სადაც არსებობს მიმდინარე გეოპოლიტიკური არასტაბილურობა. ჰიდროელექტროსადგურების აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის გვირაბები, არხები, გადამცემი ხაზები და დაახლოებით 30 კილომეტრზე გადაჭიმული დამხმარე სამოქალაქო ნაგებობები, მდებარეობს ისეთ ადგილებში, რომლებიც მშობელი კომპანიისთვის სრულად ხელმისაწვდომი არ არის და საქართველოს ხელისუფლების ეფექტური კონტროლის მიღმა. ეს გარემოებები ქმნის თანდაყოლილ გაურკვევლობას ოპერაციების უწყვეტობასა და ამ აქტივებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გრძელვადიან ანაზღაურებასთან მიმართებით, და კომპანიის უნარზე, შეინარჩუნოს, გამოიყენოს და მიიღოს მომავალი ფულადი ნაკადები ინფრასტრუქტურიდან, რადგან ამაზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რეგიონის პოლიტიკურ და უსაფრთხოების გარემოში განვითარებულმა მოვლენებმა. გეოპოლიტიკური დამაბულობის გაგრძელება ზრდის რისკს, რომ მშობელ კომპანიას ნებისმიერ დროს შეიძლება შეექმნას შეზღუდვები აქტივებზე წვდომაზე, შეზღუდვები ტექნიკური მომსახურების მიღებაზე ან ელექტროენერგიის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად გამოყენებაზე. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება იქონიოს გავლენა ჰიდროელექტროსადგურის აქტივებზე მომავალში მშობელი კომპანიის კონტროლის მიღმა არსებულმა მოვლენებმა.
7. 2020 წელს მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) ფინანსურ ანგარიშგებაში შეწყვიტა აქტივთან დაკავშირებული გრანტების აღიარება 11,845 ათასი ლარის ოდენობით და ასახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი. თუმცა, აუდიტის პროცედურების მეშვეობით ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება იმის შესახებ, სრულად ეკუთვნოდა თუ არა აღნიშნული შემოსავალი 2020 წლის ანგარიშგების პერიოდს. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, იყო თუ არა საჭირო მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე კორექტირება.
8. შპს ვარდნილჰესების კასკადმა (შვილობილი) ფინანსური ანგარიშგება ფასს-ის შესაბამისად პირველად 2008 წელს მოამზადა, ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის №295 ბრძანების შესაბამისად, როგორც სავარაუდო ღირებულება. ეს მიდგომა სრულად არ შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს პირველადი გამოყენებისთვის.

- გარდა ამისა, ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება, როგორც ეს მოცემულია მე-6 შენიშვნაში, მოიცავს 2000 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში კაპიტალიზებულ რეაბილიტაციის ხარჯებს, რომელთათვისაც ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ასეთი ხარჯები ფასს-ის მიხედვით აქტივებად კლასიფიკაციისა და აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, შეუძლებელია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების ზუსტი დადგენა. გარდა ამისა, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება 2020 წლის 1 იანვრამდე აღიარებული 111,394 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების დასადასტურებლად, რაც მოიცავს კაპიტალის სახით შეტანილ თანხებს და 2018 წლიდან დაუშთავრებელი მშენებლობის სახით აღრიცხულ 1,430 ათასი ლარს, რომელის დასრულებაც მოსალოდნელი არ არის. კომპანიას არ ჩაუტარებია დაუშთავრებელი მშენებლობის ბალანსის გაუფასურების შეფასება, მიუხედავად მომავალი ეკონომიკური სარგებლის მტკიცებულებების არარსებობისა. გარდა ამისა, 2023 წლის განმავლობაში, მშობელმა კომპანიამ არაფულადი შენატანის სახით 7.4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა; თუმცა, ჩვენ ვერ შევძელით მისი სამართლიანი ღირებულების სრულად გადამოწმება დამხმარე დოკუმენტაციის შეზღუდული რაოდენობის გამო. ჩვენ ასევე შევნიშნეთ, რომ ძირითადი საშუალებების სხვადასხვა კატეგორიისთვის მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადები შესაძლოა სრულად არ ასახავდეს მათი ინდივიდუალური კომპონენტების რეალურ სასარგებლო მომსახურების ვადას. სხვადასხვა აქტივებზე, როგორიცაა შენობები, დანადგარები, მიწის სამუშაოები, გვირაბები და კაშხლები, გამოყენებული იქნა სასარგებლო მომსახურების ვადების ფართო დიაპაზონები, რომლებიც შეიძლება არ ითვალისწინებდეს თითოეული კომპონენტის სპეციფიკურ მოვლა-პატრონობის საჭიროებებს და სხვადასხვა სიცოცხლის ხანგრძლივობას. ამან შეიძლება გამოიწვიოს პოტენციური უზუსტობები ამორტიზაციასა და აქტივების შეფასებაში, რადგან ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება.
9. შპს ვარდნილჰესების კასკადი (შვილობილი) მართავს ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 40 კილომეტრ ტერიტორიაზე, მისი ინფრასტრუქტურა მდებარეობს მიწაზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენება კომპანიის მიერ, ჯერ არ არის იურიდიულად გადაცემული კომპანიაზე და შესაბამისად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად ამისა, ამ მიწაზე აშენებულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა, მათ შორის კაშხალი, შენობები და სხვა ნაგებობები. იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი არ არის ასახული კომპანიის ანგარიშგებაზე, ჩვენ ვერ დავადასტურეთ მისი ღირებულება და ვერ დავრწმუნდით, რომ ყველა აქტივი სრულად არის თუ არა აღრიცხული. ძირითადი ინფრასტრუქტურის არსებობა გეოპოლიტიკური არასტაბილურობის მქონე რეგიონში იწვევს გაურკვევლობას ამ აქტივების გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებით. ამ ვითარებამ შეიძლება ასევე იმოქმედოს აღრიცხული აქტივების სისრულეზე, რადგან ტერიტორიის ძირითადი ნაწილი არ არის კონტროლირებადი, რაც ართულებს რწმუნების მიღებას, არის თუ არა აღრიცხული ყველა აქტივი.
10. ჩვენ ვერ დავესწარიტ შპს ვარდნილჰესების კასკადის მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2024 წლის ბოლო მდგომარეობით, რადგან მნიშვნელოვანი აქტივები, მათ შორის კაშხალი მდებარეობს კონფლიქტურ რეგიონში. ამ გარემოებამ შეგვიზღუდა აღნიშნული აქტივების ფიზიკური შემოწმების შესაძლებლობა. აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 109,300 ათასი ლარი (2023: 113,507 ათასი ლარი). მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურების ჩატარება მარაგებისა და ძირითადი საშუალებების წლის ბოლო რაოდენობის დასადგენად. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა იყო თუ არა საჭირო რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში.
11. როგორც მე-5 შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფის არამატერიალურ აქტივებში შედის საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც სრულად ეკუთვნის შპს „ენგურის ჰიდროაკუმულირებულ ელექტროსადგურს“. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს ჰიდროაკუმულირებული ობიექტის კონცეპტუალური და ტექნიკური პროექტირების დასრულებულ ეტაპს - ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ენერგიის მასშტაბურ დაგროვებას ზედა და ქვედა წყალსაცავებს შორის წყლის გადატანის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ეტაპი დასრულებულია, მენეჯმენტს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება სამშენებლო ფაზის დაწყებასთან დაკავშირებით. განვითარების დანამდვილებული გეგმის არარსებობა და პროექტის განხორციელების ვადებისა და შესაძლო რეალიზაციის შესახებ არსებული გაურკვევლობა წარმოადგენს გაუფასურების ნიშნებს ბასს 36-ის შესაბამისად. თუმცა, ჯგუფს არ ჩაუტარებია გაუფასურებულ ტესტი იმის დასადგენად, არის თუ არა

აღნიშნული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება აღდგენადი. ასეთი შეფასების არარსებობის პირობებში, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და ადეკვატური აუდიტორული მტკიცებულება იმის დასადგენად, საჭიროებდა თუ არა აღნიშნული აქტივების საბალანსო ღირებულება კორექტირებას. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, აუცილებელია თუ არა ცვლილებები არამატერიალურ აქტივებსა და მათთან დაკავშირებულ განმარტებით ცნობებში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლად ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს არესემ საქართველოს (Reg. # SARAS-F-279563) სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა (Reg. # SARAS-A-577214)

27 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

RSM Georgia
[Signature]

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	488,477	513,865
არამატერიალური აქტივები	5	5,468	2,847
ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოში	6	5,724	11
სულ გრძელვადიანი აქტივები		499,669	516,723
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	1,621	1,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	428	1,787
საგადასახადო აქტივები		222	615
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,885	486
სულ მიმდინარე აქტივები		4,156	4,474
სულ აქტივები		503,825	521,197
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	246,471	240,756
დაგროვილი მოგება/ზარალი		(7,399)	(8,061)
კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის			
მშობელი კომპანიის მფლობელებს		239,072	232,695
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	10	2,151	1,227
სულ კაპიტალი		241,223	233,922
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	244,664	224,266
აქტივებთან დაკავშირებული გრანტი	12	12,670	24,465
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		257,334	248,731
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	3,208	34,795
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,060	3,749
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,268	38,544
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		503,825	521,197

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.

ლევან მეზონია
შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	488,477	513,865
არამატერიალური აქტივები	5	5,468	2,847
ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოში	6	5,724	11
სულ გრძელვადიანი აქტივები		499,669	516,723
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	1,621	1,586
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	428	1,787
საგადასახადო აქტივები		222	615
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,885	486
სულ მიმდინარე აქტივები		4,156	4,474
სულ აქტივები		503,825	521,197
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	10	246,471	240,756
დაგროვილი მოგება/ზარალი		(7,399)	(8,061)
კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის მშობელი კომპანიის მფლობელებს		239,072	232,695
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს	10	2,151	1,227
სულ კაპიტალი		241,223	233,922
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	244,664	224,266
აქტივებთან დაკავშირებული გრანტი	12	12,670	24,465
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		257,334	248,731
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	3,208	34,795
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2,060	3,749
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,268	38,544
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		503,825	521,197

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.



ლევან მებონია
შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	14	70,073	65,146
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(38,074)	(35,912)
საერთო მოგება		31,999	29,234
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(15,841)	(16,704)
საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	8	263	(437)
რეალიზაციის ხარჯები	17	(577)	(2,018)
საოპერაციო მოგება		15,844	9,252
ფინანსური შემოსავალი	18	(14,699)	(10,453)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	(100)	305
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან	20	(393)	(7,501)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		652	(7,574)
მოგების გადასახადი	21	-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		652	(7,574)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		652	(7,574)
წლის სრული მოგება/(ზარალი), რომელიც ეკუთვნის			
მშობელი კომპანიის მფლობელებს		662	(7,510)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(10)	(64)
წლის სრული მოგება/(ზარალი)		652	(7,574)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.

ლევან მეზონია

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	14	70,073	65,146
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(38,074)	(35,912)
საერთო მოგება		31,999	29,234
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(15,841)	(16,704)
საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	8	263	(437)
რეალიზაციის ხარჯები	17	(577)	(2,018)
საოპერაციო მოგება		15,844	9,252
ფინანსური შემოსავალი	18	(14,699)	(10,453)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	(100)	305
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	20	(393)	(7,501)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		652	(7,574)
მოგების გადასახადი	21	-	-
წმინდა მოგება /(ზარალი)		652	(7,574)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		652	(7,574)
წლის სრული მოგება/(ზარალი), რომელიც ეკუთვნის			
მშობელი კომპანიის მფლობელებს		662	(7,510)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(10)	(64)
წლის სრული მოგება/(ზარალი)		652	(7,574)

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.



ლევან მამონია
შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებე ლი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022	240,519	(551)	239,968	-	239,968
კაპიტალის ზრდა	237	-	237	-	237
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	-	-	1,291	1,291
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	(7,510)	(7,510)	(64)	(7,574)
31 დეკემბერი 2023	240,756	(8,061)	232,695	1,227	233,922
კაპიტალის ზრდა	5,715	-	5,715	-	5,715
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	-	-	-	934	934
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	662	662	(10)	652
31 დეკემბერი 2024	246,471	(7,399)	239,072	2,151	241,223

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.

ლევან მეზონია

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი, რომელიც ეკუთვნის კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებე ლი წილი	სულ
31 დეკემბერი 2022	240,519	(551)	239,968	-	239,968
კაპიტალის ზრდა	237	-	237	-	237
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი	-	-	-	-	-
წილის მფლობელების მიერ	-	-	-	1,291	1,291
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	(7,510)	(7,510)	(64)	(7,574)
31 დეკემბერი 2023	240,756	(8,061)	232,695	1,227	233,922
კაპიტალის ზრდა	5,715	-	5,715	-	5,715
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი	-	-	-	-	-
წილის მფლობელების მიერ	-	-	-	934	934
წლის სრული მოგება/(ზარალი)	-	662	662	(10)	652
31 დეკემბერი 2024	246,471	(7,399)	239,072	2,151	241,223

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს.

S. Zinner

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	652	(7,574)
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	12,522	13,255
რეზერვი	(263)	410
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	18,653	-
გრანტის ჩამოწერიდან მიღებული მოგება	(15,263)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	196	179
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	393	7,501
ფინანსური შემოსავალი	(55)	14
ფინანსური ხარჯი	14,753	8,870
გრანტის ამორტიზაცია	(262)	(276)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	31,327	22,379
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში და გადახდილ ავანსებში	977	(426)
ცვლილებები მარაგებში	(231)	164
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	392	(611)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(1,907)	(5,972)
საოპერაციო საქმიანობაში გამომუშავებული ფულადი სახსრები	30,558	15,533
მიღებული პროცენტი	(383)	(1,334)
გადახდილი პროცენტი	(13,217)	(8,669)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	16,957	5,530
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,979)	(19,690)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	454	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	(2,884)	(1,049)
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,409)	(20,739)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	150
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	934	465
მიღებული სესხების წმინდა ზრდა/(გადახდა)	(8,936)	2,273
აქტივებთან დაკავშირებული გრანტების (ზრდა)/შემცირება	890	8,214
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	(7,112)	11,102
წმინდა ფულის ზრდა/(შემცირება)	1,437	(4,106)
ფულთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	(38)	(138)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	486	4,730
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,885	486

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს

ლევან მეზონია

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	652	(7,574)
კორექტირებები:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	12,522	13,255
რეზერვი	(263)	410
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	18,653	-
გრანტის ჩამოწერიდან მიღებული მოგება	(15,263)	-
მარაგების გაუფასურების ხარჯი	196	179
(მოგება)/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	393	7,501
ფინანსური შემოსავალი	(55)	14
ფინანსური ხარჯი	14,753	8,870
გრანტის ამორტიზაცია	(262)	(276)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	31,327	22,379
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში და გადახდილ ავანსებში	977	(426)
ცვლილებები მარაგებში	(231)	164
ცვლილება საგადასახადო აქტივებში	392	(611)
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	(1,907)	(5,972)
საოპერაციო საქმიანობაში გამომუშავებული ფულადი სახსრები	30,558	15,533
მიღებული პროცენტი	(383)	(1,334)
გადახდილი პროცენტი	(13,217)	(8,669)
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	16,957	5,530
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,979)	(19,690)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	454	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	(2,884)	(1,049)
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	(8,409)	(20,739)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა	-	150
კაპიტალის ზრდა არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიერ	934	465
მიღებული სესხების წმინდა ზრდა/(გადახდა)	(8,936)	2,273
აქტივებთან დაკავშირებული გრანტების (ზრდა)/შემცირება	890	8,214
წმინდა ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან	(7,112)	11,102
წმინდა ფულის ზრდა/(შემცირება)	1,437	(4,106)
ფულთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	(38)	(138)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	486	4,730
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,885	486

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 27 ნოემბერს



ლევან მებონია

შპს „ენგურჰესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ენგურჰესი“ დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1999 წლის 2 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია (მშობელი კომპანია) წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ჯგუფი შედგება შპს „ენგურჰესი“-სგან (შემდგომში - „მშობელი კომპანია“), მისი შვილობილი შპს „ვარდნილჰესების კასკადი“-სგან (შემდგომში - „შვილობილი კომპანია“), შვილობილი შპს „ენგური ატრაქციისგან“-სგან (შემდგომში - „შვილობილი კომპანია“), ორივე კომპანიაში შპს ენგურჰესი 100%-იან წილს ფლობს და შვილობილი კომპანია შპს „ენგურის ჰიდროაკუმულირებული ელექტროსადგურისგან“ სადაც მშობელი კომპანია 50%-იან წილს ფლობს.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დამფუძნებელი და 100%-იანი მფლობელი არის საქართველოს მთავრობა. ჯგუფზე საკუთრება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ხოლო ჯგუფის პრივატიზების უფლებები დელეგირებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ. მშობელი და შვილობილი შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ საქმიანობა მსგავსია. შპს ენგური ატრაქციისე ძირითადი საქმიანობაა ტურისტული ატრაქციონების შექმნა და მართვა. „ენგურის ჰიდროაკუმულირებული ელექტროსადგური“ მშენებლობების პროცესშია და ოპერირება ჯერ არ დაუწყია.

ჯგუფის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. 8.

ჯგუფის სათაო ოფისი მდებარეობს საბურთალოს რაიონში.

მშობელი კომპანიის (შპს „ენგურჰესის“) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა ბატონი ლევან მებონია.

ჯგუფის აქტივები ძირითადი განლაგებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელიც კონფლიქტური რეგიონია 1992 წლიდან. საქართველოს მთავრობის კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს მხოლოდ მშობელი კომპანიის საკუთრებაში არსებული თაღოვანი კაშხალი, შესაბამისად სხვა ძირითადი აქტივები მდებარეობს აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიაზე. სწორედ ამიტომ გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდება აფხაზეთის რეგიონს საფასურის გადახდის გარეშე.

„ელექტროენერგიის ბაზრის წესების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის კომისიის №77 დადგენილების შესაბამისად, ჯგუფი ამცირებს წლიურ გამომუშავებულ ელექტროენერგიას აფხაზეთის რეგიონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით, რითაც აფხაზეთში ელექტროენერგიის მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი და შესაბამისი მოთხოვნები არ არის აღიარებული.

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის („ზასსკ“) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბერს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს. შემოსავალი და ხარჯები სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარდა, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ოპერაციები ჯგუფის მფლობელებთან აღიარებულია კონსოლიდირებულ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ჯგუფი წარმოადგენს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას ხარჯების

შპს „ენგურპეის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

ფუნქციის მიხედვით კლასიფიკაციის გამოყენებით. ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას აძლევს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მკითხველებს, რადგან ის უკეთ ასახავს ბიზნეს ოპერაციებს.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვა ხდება და წმინდა თანხა ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ანაზღაურების კანონიერად აღსასრულებელი უფლება და არსებობს სურვილი აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები მრგვალდება უახლოეს ათას ერთეულამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანიები - ესენია ერთეულები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც ჯგუფს შეუძლია მიიღოს, ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი სარგებელი ინვესტიციიდან და შეუძლია გავლენა მოახდინოს აღნიშნულ სარგებელზე თავისი ძალაუფლების გამოყენებით ინვესტიციაზე. კონკრეტულად, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციას მხოლოდ მაშინ, როდესაც მას:

- აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს ინვესტიციაზე (ანუ, არსებობს უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევს განსაზღვროს ინვესტიციის შესაბამისი საქმიანობები);
- მიიღებს ან აქვს უფლება მიიღოს ცვლადი სარგებელი ინვესტიციაში ჩართულობის შედეგად;
- შეუძლია გავლენა მოახდინოს ინვესტიციის შედეგებზე თავისი ძალაუფლების გამო. არსებობს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ხარისხობრივი კონტროლი ძირითადად განისაზღვრება ხმების უმრავლესობით. ამ კუთხით, თუ ჯგუფს არ აქვს საკონტროლო ან მასთან გათანაბრებული უფლება ინვესტიციაზე, იგი აფასებს ყველა შესაბამის ფაქტორს და გარემოებას გავლენის დადგენისას, მათ შორის:
- ხელშეკრულებებით დადასტურებულ შეთანხმებებს სხვა მხარეებთან, რომლებიც ფლობენ ხმის უფლებებს;
- უფლებებს, რომლებიც მიღებულია სხვა ხელშეკრულებითი შეთანხმებებით;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხორციელდება იმ თარიღიდან, როდესაც კონტროლი გადადის მშობე; კომპანიაზე, და კონსოლიდაცია შეწყდება იმ თარიღიდან, როდესაც კონტროლი დაკარგულია. ყველა შიგაჯგუფური ოპერაცია, ბალანსი და ჯგუფის კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული მოგება სრულად ექვემდებარება ელიმინაციას; არარეალიზებული ზარალიც ექვემდებარება ელიმინაციას, გარდა შემთხვევისა, როდესაც ტრანზაქცია ასახავს გადაცემული აქტივის ღირებულების შემცირებას. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების საბუღალტრო პოლიტიკა მოყვანილია შესაბამისობაში ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ გამოცემული წესები და ნორმები, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის. ჯგუფს ჯერ არ შეუფასებია ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ნებისმიერი, ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, არ იქნა მიღებული.

შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ, ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და გამოყენებულ იქნა ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

1. ცვლილება ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი

- **შინაარსი:** ეს ცვლილებები განმარტავს ვალდებულებების მიმდინარე ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, იმ უფლებებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2. ცვლილება ფასს 16-ში: იჯარის ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის შემთხვევაში

- **ძალაში შესვლის თარიღი:** 2024 წლის 1 იანვარი
- **შინაარსი:** ეს ცვლილებები აკონკრეტებს იჯარის ვალდებულების შეფასებას და ნებისმერი მოგების ან ზარალის აღიარებას გაყიდვა-უკუიჯარის ტრანზაქციაში.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში

შემდეგი ახალი სტანდარტები და შესწორებები გამოიცა ბასსს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლიური პერიოდისთვის. ჯგუფს არ დაუნერგავს ეს სტანდარტები ვადაზე ადრე და ამჟამად აფასებს მათ პოტენციურ გავლენას მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1. ფასს 18: პრეზენტაცია და გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** 2027 წლის 1 იანვარი
- **შინაარსი:** ფასს 18 შემოაქვს ახალი კატეგორიები და ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მოითხოვს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული შესრულების საზომების გამჟღავნებას.

2. ბასს 21: გაცვლადობის ნაკლებობა

- **ძალაში შესვლის თარიღი:** 2025 წლის 1 იანვარი
- **შინაარსი:** ეს ცვლილებები აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა შეაფასოს სუბიექტმა არის თუ არა ვალუტა გაცვლადი და ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნები, თუ ეს ასე არ არის.

3. ფასს 9 და ფასს 7: კონტრაქტები რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას

- **ძალაში შესვლის თარიღი:** 2026 წლის 1 იანვარი
- **შინაარსი:** ცვლილებები განმარტავს „საკუთარი გამოყენების“ მოთხოვნების გამოყენებას და იძლევა ჰეჯირების აღრიცხვის საშუალებას გარკვეული კონტრაქტებისთვის.

ცვლილებები გავლენას ახდენს სუბიექტზე, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ გაიცვლება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა გაცვლადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

ჯგუფი მოელის, რომ ამ ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება, რომელიც ძალაში იქნება შემდეგი საანგარიშგებო პერიოდიდან, არ მოახდენს არსებით გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებზე.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია. ჯგუფი ცვეთის გაანარიშებისას იყენებს წრფივ მეთოდს.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობები და კაშხალთან დაკავშირებული აქტივები	40-100 წელი
მანქანა-დანადგარები	10-40 წელი
სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5-10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არა ცვეთადი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღიარებულია თვითღირებულებით. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს ძირითადი საშუალებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული დრო, რათა ეს გრძელვადიანი აქტივები მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. სანამ სამშენებლო პროცესი არ მივა ასეთ მდგომარეობამდე, ჯგუფი მას აღრიცხავს როგორც დაუმთავრებელ მშენებლობას და შემდეგ გადააქვს ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფზე.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ჯგუფი თავის ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური აქტივები რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში/სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

წილობრივი ინსტრუმენტების კლასიფიკაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით ჯგუფი ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან

დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი:

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, ჯგუფი აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, ჯგუფი განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს ჯგუფის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი

ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს გაუფასურების რეზერვის ხარჯს იმ ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით წლის მოგება/ზარალში. გაუფასურების რეზერვის ხარჯი დამოკიდებულია ჯგუფის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების მიხედვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაბუთებული ინფორმაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში როცა პირველადი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ზრდა არ ყოფილა, შეფასებულია 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს წარმოადგენს აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება ნაგულისხმევ მოვლენას, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში. როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან თუ დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზარალის ანაზღაურება ხდება აქტივის სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. სავარაუდო საკრედიტო ზარალის ოდენობა იზომება ფასის სავარაუდო დეფიციტის სავარაუდო შეწონილი ღირებულების საფუძველზე, რომელიც ფასდაკლებულია თავდაპირველი ეფექტური პროცენტით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც სავალდებულოა შეფასებულ იქნას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში, ზარალის ანაზღაურება აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში შესაბამისი ხარჯებით. ყველა სხვა შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვის ხარჯი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას შესაბამისი ხარჯით სრულ მოგება/ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფმა გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. სხვა მოთხოვნები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, შემცირებული სავარაუდო საკრედიტო ზარალით.

აღიარების შეწყვეტა: ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი: 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდში, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებული და შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ასეთი ვალდებულებები, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, შემდგომში უნდა შეფასდეს ერთეულის მიერ სამართლიანი ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან როდესაც გამოიყენება აქტივების შენარჩუნების მიდგომა;
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ პერიოდებში ჯგუფს არ გააჩნია სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში ასახული ფინანსური ვალდებულებები.

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი. ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან. ჯგუფს აქვს სესხები მისი მფლობელისგან ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად.

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოში

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში ჯგუფი ინვესტიციებს შვილობილი კომპანიაში აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს შვილობილი კომპანიის კაპიტალს.

კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაში ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიაში აღიარდება კაპიტალის მეთოდით.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც ჯგუფი ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან

ჯგუფი შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება ყოველთვიურად მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია მომხმარებლების მიერ, ასევე ჯგუფისა და მომხმარებლების მიერ

ხელმოწერილი და სს ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორის მიერ დამტკიცებული ანგარიშ-ფაქტურებითა და ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტებით (ესკო). ჯგუფი იძულებულია აფხაზეთის რეგიონს ელექტროენერგია მიაწოდოს უფასოდ. ელექტროენერგიის ეს ნაწილი არ არის აღიარებული შემოსავალად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის შემცირებული რეალიზაციის დანახარჯებით. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება

მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

როცა გაუფასურების ზარალის ანულირება ხდება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ანულირება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის ანულირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. მარაგები აღირიცხება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოთავსებასთან.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი. ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საკონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში და განისაზღვრება მფლობელის გადაწყვეტილებით. იმ შემთხვევაში როდესაც კაპიტალში შეტანილია არაფულადი შენატანი სხვაობა მფლობელის მიერ დადგენილ კაპიტალის ოდენობასა და შეტანილი აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის,

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

რომელშიც გამოცხადდა.

სახელმწიფო გრანტები

გრანტების აღიარება არ ხდება, მანამდე სანამ არ არსებობს საფუძვლიანი მტკიცება, რომ ჯგუფი შეესაბამება იმ მდგომარეობას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გრანტის მიღება. გრანტები რომლებიც მიზნად ისახავს, რომ ჯგუფმა ააშენოს ან შეისყდოს არამატერიალური აქტივები, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი საბალანსო ანგარიშგებაში და მოხდება მათი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სისტემურად და რაციონალურ საფუძველზე, მასთან დაკავშირებული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში.

სხვა გრანტები აღიარდება შემოსავლად იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც პერიოდის საკონპენსაციოდ იყო გამიზნული.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო დაწარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	USD	EUR
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავტომობილები	კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	სულ
31 დეკემბერი 2022	28,602	387,843	264,967	3,872	1,909	14,079	701,272
შეძენა	-	120	1,768	710	366	16,552	19,516
პროცენტის კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	1,681	1,681
მარაგებიდან გადმოტანა	-	-	66	-	(32)	-	34
შიდა მოძრაობა	-	13,568	1,048	(101)	150	(14,665)	-
დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანა	19	7,420	-	60	-	-	7,499
შვილობილში შეტანა	-	-	-	-	(60)	(7,420)	(7,480)
ჩამოწერა	-	(3)	(1)	-	(1)	-	(5)
31 დეკემბერი 2023	28,621	408,948	267,848	4,541	2,332	10,227	722,517
შეძენა	-	29	491	600	751	4,107	5,978
შიდა მოძრაობა	-	3,913	1,323	5	(118)	(5,123)	-
დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალში შეტანა	5,715	-	-	-	-	-	5,715
შვილობილში შეტანა	(5,712)	-	-	-	-	-	(5,712)
ჩამოწერა	-	(15,532)	(209)	(241)	(82)	(3,628)	(19,693)
31 დეკემბერი 2024	28,624	397,358	269,453	4,905	2,883	5,583	708,806
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	(101,103)	(91,201)	(2,246)	(989)	-	(195,539)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(5,706)	(7,033)	(346)	(161)	-	(13,246)
ცვეთის ელიმინაცია	-	30	1	53	49	-	133
31 დეკემბერი 2023	-	(106,779)	(98,233)	(2,539)	(1,101)	-	(208,652)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(4,704)	(6,797)	(531)	(231)	-	(12,263)
ცვეთის ელიმინაცია	-	153	62	340	31	-	586
31 დეკემბერი 2024	-	(111,330)	(104,968)	(2,730)	(1,301)	-	(220,329)
ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	28,602	286,740	173,766	1,626	920	14,079	505,733
31 დეკემბერი 2023	28,621	302,169	169,615	2,002	1,231	10,227	513,865
31 დეკემბერი 2024	28,624	286,028	164,485	2,175	1,582	5,583	488,477

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

2024 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) დაიქირავა დამოუკიდებელი გარე შეფასების ფირმა (შპს ნექსია თიეი), რათა სრულად შეეფასებინა კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შეფასება განხორციელდა ჩანაცვლების ღირებულების მეთოდის გამოყენებით, რაც მოიცავდა აქტივების თითოეული კატეგორიის სრულ ჩანაცვლების ღირებულების, ამორტიზაციამდე ჩანაცვლების ღირებულების, ამორტიზაციის შემდეგ ჩანაცვლების ღირებულების და საბაზრო ღირებულების განსაზღვრას.

შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება შეადგენდა 457,262 ათას ლარს, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან კი, რომელიც ასახულია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების თარიღის მდგომარეობით შეადგენდა 398,101 ათას ლარს. შეფასების შედეგები აქტივების კატეგორიების მიხედვით შეჯამებულია ქვემოთ:

აქტივების კატეგორია	სრული ჩანაცვლების ღირებულება შეფასების ანგარიშის შესაბამისად	საბალანსო ღირებულება (2023)
მიწა	82,060	28,621
შენობა-ნაგებობები	324,278	227,518
მანქანა-დანადგარები	48,505	133,515
სატრანსპორტო საშუალებები	2,322	1,078
კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და სხვა	98	849
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	6,520
სულ	457,263	398,101

მენეჯმენტმა გადახედა შეფასების შედეგებს; თუმცა, მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) არ შეასწორა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეფასების შედეგების ასახვის მიზნით. კომპანია აგრძელებს ძირითადი საშუალებების შეფასებას ისტორიული ღირებულების მოდელის გამოყენებით, ბასს 16-ის შესაბამისად.

2024 წლის განმავლობაში მშობელმა კომპანიამ (შპს ენგურჰესი) ჩამოწერა შენობა, რომლის ისტორიული ღირებულება 15,263 ათასი ლარი იყო, და დაუმთავრებელი მშენებლობა, რომლის ისტორიული ღირებულება 3,628 ათასი ლარი იყო. ჩამოწერილი შენობა წარმოადგენდა ქარხნის ტერიტორიაზე მისასვლელ გზას, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და რომელზეც მშობელ კომპანიას საკუთრების უფლება არ ჰქონდა. ჩამოწერილი დაუმთავრებელი მშენებლობა ეხებოდა 2022 წელს DCH Diving B.V.-ს მიერ თაღოვანი კაშხლის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის იმპორტირებულ მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობას. სამუშაოების დასრულების შემდეგ, DCH Diving B.V.-ის შეფასებით აღჭურვილობის დემონტაჟის ღირებულებამ გადააჭარბა მისგან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და თავდაპირველად ის გადასცა კომპანიას. 2024 წელს DCH Diving B.V.-მ, კომპანიასთან შეთანხმებით, ამოიღო აღჭურვილობა და შესაბამისად, კომპანიამ ეს აქტივები ჩამოწერა.

შენობების კატეგორია ძირითადად მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის შემადგენელ მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობებს, მათ შორის თაღოვან კაშხალს, სადერივაციო გვირაბებს, საცხოვრებელ, ოპერატიულ და დამხმარე ობიექტებს, რომლებიც აუცილებელია სადგურის ფუნქციონირებისთვის. ის ასევე მოიცავს მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურას და ნაგებობებს, რომლებიც მხარს უჭერენ სადგურის ფუნქციონირებას.

მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის კატეგორია ძირითადად მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ტექნიკურ და მექანიკურ აქტივებს. ეს მოიცავს ჰიდროელექტროსადგურის დამხმარე სისტემებს, ტურბინებს, გენერატორებს, ტრანსფორმატორებს, სატუმბ და წყლის მართვის სისტემებს და მათთან დაკავშირებულ ელექტრომოწყობილობებს. კატეგორია ასევე მოიცავს გაზომვის, კონტროლისა და უსაფრთხოების სისტემებს, ასევე სხვა მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობებს, რომლებიც მხარს უჭერენ ენერგიის გენერაციისა და ტექნიკური მომსახურების პროცესებს.

ამორტიზაციის ხარჯი, რომელიც აღიარდა თვითღირებულებაში შეადგენდა 11,697 ათას ლარს (2023: 12,702 ათასი ლარი), საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებში აღიარდა 399 ათასი ლარი (2023: 394 ათასი ლარი) და სხვა ხარჯებში 167 ათასი ლარი (2023: 152 ათასი ლარი).

ჯგუფს არ აქვს დაგირავებული ძირითადი საშუალებები სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საბალანსო ღირებულება	საპროექტო დოკუმენტაცია	კომპიუტერული პროგრამები	ლიცენზიები	საავტორო უფლება	სულ
31 დეკემბერი 2022	1,708	45	-	18	1,772
შეძენა	398	345	239	116	1,098
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	2,106	390	239	134	2,870
შეძენა	2,263	190	410	-	2,863
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	4,369	580	650	134	5,733
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	-	(9)	-	-	(9)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(7)	-	(7)	(14)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(16)	-	(7)	(23)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	-	(124)	(130)	(6)	(260)
ცვეთის ელიმინაცია	-	18	-	-	18
31 დეკემბერი 2024	-	(122)	(130)	(13)	(265)
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	1,708	29	-	11	1,749
31 დეკემბერი 2023	2,106	374	239	127	2,847
31 დეკემბერი 2024	4,369	459	520	121	5,468

ჯგუფის არამატერიალურ აქტივებში შედის საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც სრულად ეკუთვნის შპს „ენგურის ჰიდროაკუმულირებულ ელექტროსადგურს“ (შვილობილი კომპანია). აღნიშნული დოკუმენტაცია ეხება ჰიდროაკუმულირებული ელექტროსადგურის კონცეპტუალურ და ტექნიკურ პროექტირებას, ტექნოლოგიას, რომელიც მუშაობს ზედა და ქვედა წყალსაცავებს შორის წყლის გადატანის პრინციპზე. ელექტროენერგიის დაბალი მოთხოვნის პერიოდში წყალი ქვედა წყალსაცავიდან იტუმბება ზედა წყალსაცავში ზედმეტი ან დაბალფასიანი ელექტროენერგიის გამოყენებით. მოთხოვნის ზრდის დროს, წყალი ზედა წყალსაცავიდან გამოტანილია ქვედა წყალსაცავში, რაც ატრიალებს ტურბინებს და წარმოქმნის ელექტროენერგიას. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს ენერგიის მასშტაბურ შენახვას, ქსელის ბალანსირებას და მაღალი საიმედოობის ოპერატიულ წარმოებას.

ჰიდროაკუმულირების ტექნოლოგია ფართოდ არის გამოყენებული ევროპის მასშტაბით, მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ობიექტები, როგორიცაა დინორვიგი (დიდი ბრიტანეთი), გოლდისტალი (გერმანია), ლა მუელა (ესპანეთი) და ლიმერნი (შვეიცარია). აღნიშნული სისტემა მოქმედებს, როგორც სტრატეგიული „ენერგეტიკული ბატარეა“, რომელიც უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიის ინტეგრაციას და ელექტროენერგეტიკული ქსელის სტაბილურობას.

ჯგუფმა შეასრულა ანალოგიური ჰიდროაკუმულირებული ელექტროსადგურის საპროექტო ეტაპი; თუმცა, სამშენებლო ფაზის დაწყება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს და დამოკიდებულია მომავალ დაფინანსებასა და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, პროექტი ჯერ არ შესულა განვითარების ან მშენებლობის ეტაპზე. შესაბამისად, მასთან დაკავშირებული საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილია როგორც არამატერიალური აქტივი ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად და არ ექვემდებარება ამორტიზაციას მანამ, სანამ აქტივი არ გახდება გამოსაყენებლად მზად.

6. ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოში

ჯგუფს 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს შემდეგი ინვესტიციები:

ინვესტიცია	შეძენის თარიღი	მფლობე ლობა%	საქმიანობის სფერო	ლოკაცია	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში						
შპს ვარდნილჰესების კასკადი 2	2024	100%	ენერგეტიკა	აფხაზეთი	5,713	-
სულ ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში					5,713	-
სხვა ინვესტიცია						
სს კარჩალ ენერჯი	2019	0.1%	ენერგეტიკა	თურქეთი	12	11
სულ					5,724	11

შპს „ვარდნილჰესების კასკადი 2“ ჯგუფის ახლად დაფუძნებული შვილობილი კომპანიაა. ანგარიშგების თარიღის მიხედვით, ერთეულს არ დაუწყია ოპერაციული საქმიანობა და არ გააჩნია არსებითი აქტივები ან ვალდებულებები საწყისი ორგანიზაციული ბალანსების გარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს კონტროლი გააჩნია აღნიშნულ ერთეულზე, მისი ფინანსური ინფორმაცია არ არის კონსოლიდირებული ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. მარაგები

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მასალები და მარაგები	3,354	3,147
საწვავი-საპოხი მასალები	48	27
ნელა მოძრავი მარაგების რეზერვი	(1,782)	(1,588)
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	1,621	1,586

დეტალური მოძრაობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის მოცემულია ქვემოთ:

დასახელება	01.01.2024	შესყიდვა	ხარჯში გადატანა	31.12.2024
მასალები და მარაგები	3,147	2,996	2,788	3,354
საწვავი-საპოხი მასალები	27	469	449	48
სულ	3,174	3,466	3,236	3,403

დასახელება	01.01.2023	შესყიდვა	ხარჯში გადატანა	კაპიტალიზაცია	31.12.2023
მასალები და მარაგები	3,294	3,572	3,685	34	3,147
საწვავი-საპოხი მასალები	30	40	43	-	27
სულ	3,324	3,612	3,728	34	3,174

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	126	1,357
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	8	419

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

სხვა მოთხოვნები	50	323
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(86)	(923)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	98	1,176
გადახდილი ავანსები	330	611
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	428	1,787

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაშთი 1 იანვარს	923	486
რეზერვის შემცირება	(410)	-
რეზერვის ზრდა	147	437
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილება	(263)	437
რეზერვის ჩამოწერა	(574)	-
ნაშთი 31 დეკემბერს	86	923

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენდა კლიენტებისგან მისაღებ თანხებს ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში. მოთხოვნები უპროცენტოა და საჭიროების შემთხვევაში აღიარებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი. საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაციები არ გამოვლენილა.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,884	485
ნაღდი ფული	1	1
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,885	486

2024 წელს მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 55 ათასი ლარი (2023: 98 ათასი ლარი)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია რეპუტაციული კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშებზე. ნაშთები განთავსებულია თიბისი ბანკში Fitch რეიტინგით BB და საქართველოს ბანკში Fitch რეიტინგით BB.

ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული მოთხოვნების გაუფასურება მოსალოდნელი არ არის.

არ არის არსებითი განსხვავება ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

10. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 246,471 ათას ლარს (2023: 240,756 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში მფლობელებმა განახორციელეს დამატებითი არაფულადი შენატანი 5,715 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აღიარებულ იქნა საწესდებო კაპიტალის ზრდად. საწესდებო კაპიტალი სრულად არის გადახდილი და ასახულია კომპანიის წესდებისა და რეგისტრაციის დოკუმენტების შესაბამისად. ანგარიშგების პერიოდში სხვა ცვლილებები საწესდებო კაპიტალში ან საკუთრების სტრუქტურაში არ განხორციელებულა.

არაკონტროლირებადი წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიების წმინდა აქტივებსა და შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიეკუთვნება მშობელი კომპანიის გარდა სხვა აქციონერებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არაკონტროლირებადი წილები შეადგენდა 2,151 ათას ლარს (2023: 1,227 ათასი ლარი).

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

11. მიღებული სესხები

ჯგუფის მირებული სესხები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული სესხები	მიმდინარე მიღებული სესხები		გრძელვადიანი მიღებული სესხები	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსთა სამინისტრო #1	127	4,050	19,486	19,486
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	55	5,240	43,981	44,612
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4	2,532	2,697	102,945	104,828
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1	344	4,316	43,496	47,330
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2	60	888	10,257	8,010
ს.ს "საქართველოს ბანკი"	-	4,500	-	-
სს თიბისი ბანკი	89	13,104	24,500	-
სულ მიღებული სესხები	3,208	34,795	244,664	224,266

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ძირის გადახდის პერიოდულობა	დაწყების ვადა	დასრულების ვადა	ვალუ ტა	მოკლევადი ანი ნაწილი	გრძელვადი ანი ნაწილი	გადასახდელი პროცენტები
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4	Euribor+1	25 ნოემბერი და 25 მაისი	25 ნოემბერი და 25 მაისი	1/5/2018	27/11/2034	ევრო	2,133	102,945	399
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	Euribor+1	25 ნოემბერი და 25 მაისი	25 ნოემბერი და 25 მაისი	27/08/2010	25/11/2033	ევრო	-	43,981	55
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1	Euribor+0.75 Euribor+0.81	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20/07/2011	20/10/2035	ევრო	-	43,495	344
სს თიბისი ბანკი საქართველოს	11.50%	ვადის ბოლოს	ყოველთვიურად	11/22/2024	11/30/2026	ლარი	-	24,500	89
ფინანსთა სამინისტრო #1	3.50%	25 ნოემბერი და 25 ივნისი	25 ნოემბერი და 25 ივნისი	17/08/2009	25/10/2029	ლარი	-	19,486	127
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2	Euribor+0.81	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	31/07/2017	20/10/2034	ევრო	-	10,257	61
სულ							2,133	244,664	1,075

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

დეტალური ინფორმაცია მიღებული სესხების შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

მსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	პირის გადახდის პერიოდულობა	დაწყების ვადა	დასრულე ბის ვადა	ვალუ ტა	მოკლევადი ანი ნაწილი	გრძელვადია ნი ნაწილი	გადასახდელი პროცენტები
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4	Euribor + 1	25 ნოემბერი და 25 მაისი	25 ნოემბერი და 25 მაისი	1/5/2018	27/11/2034	ევრო	2,184	104,828	513
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო #1	3.50%	25 ოქტომბერი და 25 ივნისი	25 ოქტომბერი და 25 ივნისი	17/08/2009	25/10/2029	ლარი	3,814	47,330	502
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	Euribor + 1	25 ნოემბერი და 25 მაისი	25 ნოემბერი და 25 მაისი	27/08/2010	25/11/2033	ევრო	5,003	44,612	237
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1	Euribor +0.75, Euribor + 0.81	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20/07/2011	20/10/2035	ევრო	3,898	19,486	152
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2	Euribor + 0.81	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20 ოქტომბერი და 20 აპრილი	20/07/2011	20/10/2034	ევრო	801	8,010	87
ს.ს "საქართველოს ბანკი"	14.75%	ყოველთვიურად	ვადის ბოლოს	29/12/2020	30/11/2024	ლარი	4,500	-	-
სს თიბისი ბანკი	11%	ყოველთვიურად	ვადის ბოლოს	30/11/2023	30/11/2024	ლარი	13,000	-	104
სულ							33,200	224,266	1,595

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

ფინანსთა სამინისტრო #1

ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან 2009 წლის 17 აგვისტოს. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის თარიღია 2026 წლის 25 ოქტომბერი. საპროცენტო განაკვეთი წლიური შეადგენს 3.5%. სესხის მიზანია ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია. ჯგუფი იხდის ძირსა და პროცენტს წელიწადში ორჯერ.

ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3

2010 წლის 27 აგვისტოს ჯგუფსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ქვე-სასესხო ხელშეკრულება 20 000 ათასი ევროს ოდენობით. სესხის თავდაპირველი გამსესხებელი არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. სესხის მიზანია ენგურჰესის პირველი და მეხუთე ჰესების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება. ჯგუფი გადაუხდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ძირსა და პროცენტს წელიწადში ორჯერ. სესხის დაფარვის ვადაა 2033 წლის 25 ნოემბერი. სესხის საპროცენტო განაკვეთი არის 6 თვიანი Euribor +1%. სესხის მიზანია ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია.

ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1

2011 წლის 10 ივლისს ჯგუფს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ქვე-სასესხო ხელშეკრულება 20,000 ათასი ევროს ოდენობით. სესხის თავდაპირველი გამსესხებელი არის ევროპის ინდუსტრიული ბანკი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით. ჯგუფი გადაუხდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირსა და პროცენტს წელიწადში ორჯერ. სესხის დაფარვის ვადაა 2033 წლის 25 ნოემბერი. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6 თვიან Euribor+0.81%. სესხის მიზანია ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია.

ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2

2017 წლის ივლისში მშობელ კომპანიას, ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროებს შორის 3,500 ევროზე გაფორმდა შეთანხმება. სესხების თავდაპირველი გამსესხებელი არის ევროპის ინდუსტრიული ბანკი. ჯგუფი გადაუხდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირსა და პროცენტს წელიწადში ორჯერ. სესხის ვადის გასვლის თარიღია 2034 წლის 20 ოქტომბერი. სესხის საპროცენტო განაკვეთია 6 თვიანი Euribor+0.81%. სესხის მიზანია ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია.

ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4

2018 წლის იანვარში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება 28 000 ათას ევროზე. 2020 წლის ივლისში მხარეებმა გააფორმეს ცვლილება ძირითად ხელშეკრულებაზე და 10 000 ათასი ევროთი გაიზარდა ვალდებულება. 2018 წლის შესწორებული კონტრაქტებიდან თანხა მიღებულია 2021 წელს. სესხი გაცემულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ. ჯგუფი გადაუხდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ძირსა და პროცენტს წელიწადში ორჯერ. სესხის ვადის გასვლის თარიღია 2034 წლის 27 ნოემბერი. სესხის საპროცენტო განაკვეთი არის 6 თვიანი Euribor +1%. სესხის მიზანია ენგურჰესის რეაბილიტაცია - კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესება.

არ არის არსებითი განსხვავება მიღებული სესხების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

12. აქტივებთან დაკავშირებული გრანტი

ჯგუფის აქტივებთან დაკავშირებული გრანტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	24,465	16,527
გრანტის გადაფასებიდან მიღებული საკურსო მოგება	2,840	-
დამატება	890	8,214
მოგება-ზარალში აღიარებული საგრანტო შემოსავალი	(262)	(276)
გრანტის ჩამოწერა	(15,263)	-
ნაშთი 31 დეკემბერს	12,670	24,465

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღიარებულ აქტივებთან დაკავშირებული გრანტების შესახებ:

N	გრანტის გამცემი	გრანტის მიზანი	გრანტის თარიღი	მ.ს. მომსახურების ვადა	ნაშთი 31- 12-2023	დამატება	საკუროსო მოგება	ჩამოწერა	ამორტიზაცია	ნაშთი 31-12- 2024
1	European commission	კაშხლის რეაბილიტაცია	10/5/2007	40 წელი	5,414	-	-	-	(194)	5,220
2	EBRD	გზის რეაბილიტაცია	6/8/2022	50 წელი	12,423	-	2,840	(15,263)	-	-
3	EBRD	კაშხლის რეაბილიტაცია	6/8/2022	100 წელი	403	-	-	-	(4)	399
4	EBRD	კაშხლის რეაბილიტაცია	6/8/2022	100 წელი	6,225	-	-	-	(63)	6,162
5	EBRD	კაშხლის რეაბილიტაცია	6/8/2022	100 წელი	-	890	-	-	(1)	889
სულ					24,465	890	2,840	(15,263)	(262)	12,670

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღიარებულ აქტივებთან დაკავშირებული გრანტების შესახებ:

N	გრანტის გამცემი	გრანტის მიზანი	გრანტის თარიღი	მ.ს. მომსახურების ვადა	ნაშთი 31-12- 2022	დამატება	ამორტიზაცია	ნაშთი 31-12- 2023
1	European commission	კაშხლის რეაბილიტაცია	10/5/2007	40 წელი	5,622	-	(208)	5,414
2	EBRD	გზის რეაბილიტაცია	6/8/2022	50 წელი	10,852	1,571	-	12,423
3	EBRD	კაშხლის რეაბილიტაცია	6/8/2022	100 წელი	53	354	(4)	403
4	EBRD	კაშხლის რეაბილიტაცია	6/8/2022	100 წელი	-	6,289	(64)	6,225
სულ					16,527	8,214	(276)	24,465

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ნაშთი მოიცავს ფინანსთა სამინისტროსგან მიღებულ გრანტს მეოთხე აგრეგატის რეაბილიტაციისთვის. გრანტით დაფინანსებული აქტივის სასარგებლო ვადა არის 40, 50 და 100 წელი. აღნიშნული გრანტის ათვისებას არ ახლავს მომავალში შესასრულებელი მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,686	2,869
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	307	225
სხვა ვალდებულებები	67	655
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,060	3,749

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

14. შემოსავალი

2024 და 2023 წლის განმავლობაში შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შემოსავალი	2024	2023
ელ-ექტროენერგიის რეალიზაციიდან ადგილობრივ ბაზარზე	48,473	42,471
ელ-ექტროენერგიის ექსპორტი	21,342	22,454
სხვა შემოსავალი	258	221
სულ შემოსავალი	70,073	65,146

ჯგუფის ჰიდროელექტროსადგურის თაღოვანი კაშხალი მდებარეობს სამეგრელოში, ჯგუფის სხვა ძირითადი აქტივები მდებარეობს აფხაზეთის რეგიონში, რომელსაც ამჟამად საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს. სწორედ ამიტომ გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეწოდება აფხაზეთის ანაზღაურების გარეშე.

აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საბაზრო ფასმა რომელიც არ არის გამომუშავებული შემოსავლის ნაწილი 2024 წლისთვის შეადგინა 56,514 ათასი ლარი (2023: 58,909 ათასი ლარი).

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2024 და 2023 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	2024	2023
ხელფასები	18,334	17,857
ძირითადი საშუალებების ცვეთა	11,697	12,702
პროფესიული მომსახურების ხარჯები	2,540	1,519
რემონტის და შეკეთების ხარჯები	1,682	1,179
ბონუსები	1,185	893
მასალების შესყიდვა	2,214	1,376
სხვა ხარჯები	422	386
სულ გაყიდული ელექტროენერგიის თვითღირებულება	38,074	35,912

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

2024 და 2023 წლის განმავლობაში საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ხელფასები	7,033	7,685
საგადასახადო ხარჯები	2,603	2,226

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

დაცვის ხარჯი	1,611	1,709
ბონუსები	1,288	927
აფხაზეთისათვის ესკოს მიერ გადაცემული ელ-ენერგიის სანაცვლოდ მომავალში გადასაცემი ელ-ენერგიის ღირებულება	1,106	1,668
ცვეთა და ამორტიზაცია	659	408
საწევრო გადასახადები	169	238
საწვავის ხარჯი	152	250
საკომუნიკაციო ხარჯები	99	84
ოფისის ხარჯები	68	98
მივლინების ხარჯი	51	175
ბანკის საკომისო	16	169
სხვა	987	1,067
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15,841	16,704

საგადასახადო ხარჯი მოიცავს ქონების გადასახადის ხარჯს მიწასა და შენობაზე.

17. რეალიზაციის ხარჯები

რეალიზაციის ხარჯები მოიცავს ესკოსთვის გადახდილ საფასურს მათი მომსახურებისთვის, ენგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გასყიდვად ბაზრების მოძიებაში. 2024 წელს რეალიზაციის ხარჯები არის 577 ათასი ლარი (2023: 2,018 ათასი ლარი).

18. წმინდა ფინანსური ხარჯი

2024 და 2023 წლის განმავლობაში წმინდა ფინანსური ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წმინდა ფინანსური ხარჯი	2024	2023
საპროცენტო ხარჯები სესხებზე	14,754	10,551
საპროცენტო შემოსავალი	(55)	(98)
სულ წმინდა ფინანსური ხარჯი	14,699	10,453

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა

2024 და 2023 წლის განმავლობაში სხვა შემოსავალი/ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
გრანტის ჩამოწერიდან მიღებული მოგება	15,263	-
შემოსავალი აქტივებთან დაკავშირებული გრანტებიდან	262	276
შემოსავალი უსასყიდლოდ მიღებული აქტივებიდან	79	289
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	128
სხვა ხარჯები	546	86
სულ სხვა შემოსავალი	16,150	779
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		
ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	(15,263)	(92)
სასაქონლო მატერიალური მარაგების რეზერვები	(224)	-
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	(196)	-
ცვეთა არასაოპერაციო ქონებიდან	(167)	(152)
სხვა ხარჯები	(400)	(229)
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(16,250)	(474)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა	(100)	305

20. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	2024	2023
საკურსო მოგება	3,432	102
საკურსო ზარალი	(3,825)	(7,602)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(393)	(7,501)

21. მოგების გადასახადი

ჯგუფი ექვემდებარება კორპორატიული დაბეგვრის ესტონურ მოდელს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მოდელის მიხედვით, კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი არ იბეგრება გაუნაწილებელ მოგებაზე, არამედ გადავადებულია მანამ, სანამ მოგება არ განაწილდება დივიდენდების ან სავარაუდო განაწილებების სახით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში არ განაწილებულა დივიდენდი და არც სხვა დასაბეგრი ტრანზაქციები განხორციელებულა. შესაბამისად, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი.

22. სამართლიანი ღირებულება და ფინანსური რისკების მართვა

ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია განსაზღვროს ფასი, რომელიც გონივრულად იქნებოდა მიღებული აქტივის გაყიდვიდან ან იქნებოდა გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის შეფასების თარიღში ბაზრის მონაწილეებს შორის ტიპური ტრანზაქციის დროს. თუმცა, ამ შეფასების სუბიექტური ხასიათის გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც რეალიზებადი აქტივის დაუყოვნებლივი გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის დროს.

ჯგუფი განსაზღვრავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელის გამოყენებით, რათა ასახოს ფასი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ბიზნეს პირობების დროს შეფასების თარიღში. შეფასების მეთოდის მიზანია განსაზღვროს სამართლიანი ღირებულება, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნებოდა ვალდებულების გადაცემისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღში. გამოყენებული შეფასების მეთოდი არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება მომავალი ძირითადი თანხისა და პროცენტის ფულადი ნაკადების ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებებისგან.

სამართლიანი ღირებულების იერარქია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2024	დონე 1	დონე 2	დონე 3
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,885	-	-
საგადასახადო აქტივები	222	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	98	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,060	-
მიღებული სესხები	-	24,589	223,283
სულ	2,107	26,747	223,283

სამართლიანი ღირებულების იერარქია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023	დონე 1	დონე 2	დონე 3
ფული და ფულის ეკვივალენტები	486	-	-
საგადასახადო აქტივები	615	-	-

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	1,176	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	3,749	-
მიღებული სესხები	-	17,604	241,457
სულ	1,101	22,529	241,457

ბ) ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - ლიკვიდურობის რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კატეგორიის მიხედვით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	98	1,176
საგადასახადო აქტივები	222	615
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,885	486
სულ ფინანსური აქტივები	2,205	2,277
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,060)	(3,749)
მიღებული სესხები	(247,872)	(259,061)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(249,932)	(262,810)

რისკების მართვის ჩარჩო

მენეჯმენტს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის ჩარჩოს შექმნასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია ჯგუფის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის დაწესებისა და რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დაცვის მიზნით. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება, რათა ასახავდეს ბაზრის პირობებსა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებებს.

რისკების მართვას ახორციელებს მენეჯმენტი ჯგუფის ოპერაციულ ერთეულებთან ერთად. ჯგუფის ოპერაციული სიმარტივის გამო, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა ბიზნეს რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის შესახებ.

სავალუტო რისკი

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

ჯგუფს აქვს რამდენიმე ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად ჯგუფი ექვემდებარება უცხოური ვალუტის რისკს. ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ლარშია. სირთულე ჩნდება მაშინ, როდესაც ჯგუფის ტრანზაქციები (შესყიდვები) ხორციელდება უცხოურ ვალუტაში, ძირითადად ევროში. ჯგუფს ასევე აქვს ევროში მიღებული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

31 დეკემბერი 2024	ლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	98	-	98
საგადასახადო აქტივები	222	-	222
ფული და ფულის ექვივალენტები	1,885	-	1,885
სულ ფინანსური აქტივები	2,205	-	2,205
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,060)	-	(2,060)
მიღებული სესხები	(44,202)	(203,670)	(247,872)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(46,262)	(203,670)	(249,932)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(44,057)	(203,670)	(247,727)

31 დეკემბერი 2023	ლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	1,176	-	1,176
საგადასახადო აქტივები	615	-	615
ფული და ფულის ექვივალენტები	486	-	486
სულ ფინანსური აქტივები	2,277	-	2,277
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,749)	-	(3,749)
მიღებული სესხები	(41,140)	(217,921)	(259,061)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(44,889)	(217,921)	(262,810)
წმინდა სავალუტო პოზიცია	(42,612)	(217,921)	(260,533)

თუ ვალუტის კურსი შეიცვლება $\pm 10\%$ -ით და ყველა სხვა ცვლადი დარჩება უცვლელი, ჯგუფის ფინანსური შედეგები გაიზრდება ან შემცირდება 2024 წელს 20,367 ათასი ლარით (2023: 21,792 ათასი ლარით).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს აქვს მიღებული სესხები უცხოურ ვალუტაში, როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი განაკვეთებით, შესაბამისად, ჯგუფი ასევე ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს. საპროცენტო განაკვეთის რისკი მცირდება ფიქსირებული და ცვლადი განაკვეთის მქონე სესხების დაბალანსებით.

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი 2024	ნაშთი 2024	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4	105,477	Euribor + 1	ევრო
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	44,036	Euribor + 1	ევრო
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1	43,840	Euribor + 0.75	ევრო
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2	10,317	Euribor + 0.81	ევრო
სულ	203,670		

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი 2023	ნაშთი 2023	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა
ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #4	107,526	Euribor + 1	ევრო
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #1	51,646	Euribor + 0.75	ევრო

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

ფინანსთა სამინისტრო (EBRD) #3	49,852	Euribor + 1	ევრო
ფინანსთა სამინისტრო (EIB) #2	8,898	Euribor + 0.81	ევრო
სულ	217,922		

ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო რისკს საკუთარ სესხებზე, რომელთა საპროცენტო განაკვეთები ცვლილია და მიზნულია EURIBOR-ზე. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები პირდაპირ გავლენას ახდენს აღნიშნული სესხების მომავალი ფულადი გადახდების მოცულობაზე, რადგან საპროცენტო გადახდები იცვლება EURIBOR-ის მერყეობის შესაბამისად. ჯგუფი მუდმივად აკვირდება საბაზრო მდგომარეობას და აფასებს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გავლენას ფინანსური ხარჯების ოდენობაზე. ამ ეტაპზე, ჯგუფი არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს აღნიშნული რისკის ჰეჯირებისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მისი ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისას. ეს გულისხმობს საკმარისი სახსრების ხელმისაწვდომობას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად მათი ფაქტობრივად დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს.

ჯგუფის ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

000 ლარი	1 წელზე ნაკლები	1 დან - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	98	-	-	98
საგადასახადო აქტივები	222	-	-	
ფული და ფულის ექვივალენტები	1,885	-	-	1,885
სულ ფინანსური აქტივები	2,205	-	-	1,983
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,060)	-	-	(2,060)
მიღებული სესხები	(3,208)	(24,500)	(220,164)	(247,872)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(5,268)	(24,500)	(220,164)	(249,932)
ლიკვიდურობის პოზიცია	(3,063)	(24,500)	(220,164)	(247,949)

ჯგუფის ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

000 ლარი	1 წელზე ნაკლები	1 დან - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	1,176	-	-	1,176
საგადასახადო აქტივები	615	-	-	615
ფული და ფულის ექვივალენტები	486	-	-	486
სულ ფინანსური აქტივები	2,277	-	-	2,277
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,476)	-	-	(3,476)
მიღებული სესხები	(52,759)	(33,609)	(172,693)	(259,061)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(56,235)	(33,609)	(172,693)	(262,537)
ლიკვიდურობის პოზიცია	(53,958)	(33,609)	(172,693)	(260,260)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს ლიკვიდურობის დეფიციტი. მენეჯმენტი მუდმივად აკვირდება ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობას, მათ შორის ფულადი ნაკადების პროგნოზებსა და დაფინანსების საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს ვალდებულებების დროულად დაფარვისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობა. მენეჯმენტის შეფასებით, არსებული ღონისძიებები საკმარისია მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკების მართვისთვის.

(გ) კაპიტალის რისკის მართვა

შპს „ენგურპეის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

კაპიტალის ეფექტიანად მართვით ჯგუფი აძლიერებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სარგებლის გადაცემას აქციონერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის. გარდა ამისა, კაპიტალის მართვით ჯგუფი ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

კაპიტალი შედგება მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც ამ მიზნებისათვის განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხებსა და ფულსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან კორექტირებისთვის ჯგუფს შეუძლია შეცვალოს აქციონერებისთვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალდებულებების შესამცირებლად.

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო წარმოება: დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ჯგუფის წინააღმდეგ შეიძლება შეტანილ იქნას სარჩელი. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით, ჯგუფი ჩართულია მიმდინარე სასამართლო წარმოებებში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) წინაშე გადაუხდელ რეგულირების საფასურთან, მათ შორის 2015 წლის (487,000.28 ლარი) და 2018-2020 (129,748.59 ლარი) სარჩელები. მენეჯმენტმა შეაფასა ეს საკითხები და არ ელის, რომ ისინი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს დებულებები, რომლებიც შეიძლება გახდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციის საგანი. შესაბამისად, თუ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის შესახებ მენეჯმენტის შეფასებით განხორციელებული რაიმე კონკრეტული ქმედება საგადასახადო ორგანოების მიერ არ იქნება დამტკიცებული, ჯგუფს შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო, ჯარიმები და სასჯელები. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მან დაიცვა საგადასახადო კანონმდებლობა და დამატებითი დებულებები რომ არ არის საჭირო ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს აქვთ ინფორმაციაზე წვდომა სამი წლის განმავლობაში.

ოპერაციული გარემო: საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და მარეგულირებელი რისკებით, რომლებიც ჩვეულებრივ არ გვხვდება უმეტეს განვითარებულ ბაზრებზე. საქართველოში, ბიზნესზე მოქმედი წესები და კანონები სწრაფად ვითარდება. საქართველოს საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა არის განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ასევე საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

24. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი ჯგუფის ოპერატიული და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, რაც ძირითადად მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ფინანსდება გრძელვადიანი სესხებით და ხორციელდება ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელი ორგანოს მხარდაჭერით. წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია კაპიტალის მართვის მეთოდი. ჯგუფი არ ექვემდებარება კაპიტალის გარე მოთხოვნებს.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სულ კაპიტალი	241,223	233,922
შემცირება: ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,885)	(486)
კაპიტალი	239,338	233,436
სულ კაპიტალი	241,223	233,922
მიღებული სესხები	247,872	259,061
სულ დაფინანსება	489,095	492,983
ფინანსური კოეფიციენტი	49%	47%

25. დაკავშირებული მხარეები

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

დაკავშირებული მხარე არის პირი ან ერთეული, რომელიც დაკავშირებულია ერთეულთან, რომელიც ამზადებს მის ფინანსურ ანგარიშგებას (ამ სტანდარტში მოხსენიებულია, როგორც „ანგარიშგების ერთეული“).

- (ა) პირი ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრი დაკავშირებულია ანგარიშგებულ ერთეულთან, თუ ეს პირი:
- (i) აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ანგარიშგების ერთეულზე;
 - (ii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგებულ ერთეულზე; ან
 - (iii) არის ანგარიშგების ერთეულის ძირითადი მმართველი პერსონალის ან ანგარიშგების ერთეულის მშობლის წევრი.
- (ბ) ერთეული დაკავშირებულია ანგარიშგებულ ერთეულთან, თუ მოქმედებს რომელიმე შემდეგი პირობა:
- (i) ერთეული და მომხსენებელი ერთეული ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (რაც ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი, შვილობილი და სხვა შვილობილი კომპანია დაკავშირებულია სხვებთან).
 - (ii) ერთი ერთეული არის მეორე ერთეულის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც მეორე ერთეულია).
 - (iii) ორივე ერთეული არის ერთი და იგივე მესამე მხარის ერთობლივი საწარმო.
 - (iv) ერთი ერთეული არის მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე ერთეული არის მესამე ერთეულის ასოცირებული.
 - (v) ერთეული არის დასაქმების შემდგომი სარგებლის გეგმა ანგარიშგების ერთეულის ან ანგარიშგების ერთეულთან დაკავშირებული ერთეულის თანამშრომლების სასარგებლოდ. თუ მომხსენებელი სუბიექტი თავად არის ასეთი გეგმა, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებულია ანგარიშგებულ სუბიექტთან.
 - (vi) ერთეულს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია (ა) პუნქტში.
 - (vii) (ა) (i) პუნქტში განსაზღვრულ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ერთეულზე ან არის ერთეულის (ან ერთეულის მშობლის) მთავარი მმართველი პერსონალის წევრი.
 - (viii) ერთეული, ან ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უწევს ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის მომსახურებას ანგარიშგებულ ერთეულს ან ანგარიშგების ერთეულის მშობელს.
- 2024 წლის 31 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი საქართველოს სახელმწიფოა.
- „ბასს 24“-ის 25-ე პუნქტის მიხედვით: ანგარიშგების ერთეული თავისუფლდება მე-18 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებისგან, თუ დაკავშირებული მხარის ტრანზაქციები და დავალიანების ნაშთები, მათ შორის ვალდებულებები, ეხება:
- ა) სახელმწიფო, რომელიც აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგებულ ერთეულს, ან აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგებულ საწარმოზე; შესაბამისად, ჯგუფს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მთავრობასთან ოპერაციებისა და დავალიანების შესახებ ინფორმაცია არ განუცხადებია.
- 2024 და 2023 საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	2024	2023
გრანტის ამორტიზაცია	194	208
საპროცენტო ხარჯი	(12,430)	(7,847)
სულ ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	(12,236)	(7,639)
მენეჯმენტის ხელფასი და ბონუსები	1,437	1,461
სულ მენეჯმენტის ხელფასი და ბონუსები	1,437	1,461

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
---------------------------------	-------------------	-------------------

შპს „ენგურჰესი“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ათას ლარებში)

მიღებული სესხები	223,282	254,561
აქტივებთან დაკავშირებული გრანტები	12,670	24,465
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	235,952	279,026

26. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდის შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, 2025 წლის 24 აპრილის №6 დადგენილებით, დაამტკიცა შპს „ენგურის“ ელექტროენერგიის წარმოების ტარიფის გაზრდა 2.412 თეთრი/კვტ.სთ-დან 4.021 თეთრი/კვტ.სთ-მდე. ეს ცვლილება წარმოადგენს არაკორექტირებად მოვლენას და გავლენას არ ახდენს საანგარიშო თარიღისთვის აღიარებულ თანხებზე.

შპს „ენგურჰესი“



მმართველობის ანგარიშგება

2024 წელი

1. ზოგადი მიმოხილვა

ქვეყნის კასკადის მშენებლობა დაიწყო 1960-იანი წლების დასაწყისში უფრო დაბალი გამოიმუშავების სადგურების, ვარდნილი 1, 2, 3 და 4-ის - დასრულებითა და ექსპლუატაციაში გაშვებით 1970-იან წლებში და ენგურის აგრეგატების დასრულებითა და ექსპლუატაციაში გაშვებით 1980-იან წლებში.

ენგურჰესი წარმოადგენს ძირითად, სტრატეგიულ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საწარმოს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ძირითად მომსახურებას, ქვეყნის მთლიანი ელექტროსისტემის ნაწილის სახით. ენგურჰესი არის ელექტროენერგიის მთავარი მიმწოდებელი საქართველოსა და მისი მოქალაქეებისთვის, რომელიც გამოიმუშავებს ქვეყნის ელექტროენერგიის 35%-ზე მეტს. ელექტროსადგურს ფლობს და მართავს შპს „ენგურჰესი“, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. „ენგურჰესი“ ასევე ზედამხედველობს უწყვეტ ტექნიკურ მოვლა-პატრონობას და გაუმჯობესებას საერთაშორისო დონორების ტექნიკური და ფინანსური დახმარებით.

ენგურის ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს ყველაზე დიდ ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში. პროექტი წარმოადგენს ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მდინარე ენგურზე მოწყობილია ენგურის თაღოვანი კაშხალი და წყლის გადატანა ხდება გვირაბებითა და არხებით, რათა ჰიდროაგრეგატების მეშვეობით წარმოქმნას ელექტროენერგია. თაღოვანი კაშხალი მისი აშენების დროისთვის წარმოადგენდა ყველაზე მაღალ თაღოვან კაშხალს მსოფლიოში.

ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაცია და ტექნიკური მოვლა-პატრონობა გართულებულია ენგურჰესისა და ვარდნილიჰესების კასკადების გეოპოლიტიკური მდგომარეობით. ენგურჰესი და ქვედა ბიეფის ობიექტები მდებარეობს აფხაზეთში, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ საზღვარს და ოკუპირებულ ტერიტორიას. აღნიშნულ დაბრკოლებას ასევე ემატება რეგულარული ოპერაციებისა და ტექნიკური მოვლა-პატრონობი, ასევე კაპიტალური ტექნიკური მომსახურების, რემონტისა და განახლების სირთულე.

ჩვენი ხედვა

ზრდა და წარმატება თანამშრომლობის, ტექნიკური კომპეტენციისა და გამჭვირვალობის გზით. ჩვენ უზრუნველყოფთ საიმედო, განახლებად და ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერგიის წარმოებასა და მიწოდებას.

ჩვენი მისია

ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება მაქსიმალურად საიმედოდ, ეკონომიურად და ეკოლოგიური პასუხისმგებლობით ჩვენი მომხმარებლების, რათა ჩვენმა მომხმარებლებმა, პარტნიორებმა და თანამშრომლებმა დაბალანსებული სარგებელი მიიღონ.

ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს ჩვენი ძირითადი ღირებულებების საფუძველზე

- **კეთილსინდისიერება:** საქმიანობას პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერად წარვმართავთ.
- **უსაფრთხოება:** უზრუნველყოფთ უსაფრთხო სამუშაო ადგილებსა და ჯანსაღ სამუშაო გარემოს.
- **მომხმარებელზე ორიენტაცია:** უზრუნველყოფთ საიმედო ელექტროენერგიას და დროულ, თავაზიან მომსახურებას.
- **რესურსები:** ინოვაციებსა და პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, სტრატეგიული და დაბალანსებული გეგმის შესამუშავებლად სხვადასხვა რესურსს ვიყენებთ.

- **ჯანსაღი სამუშაო გარემო:** ვაყალიბებთ ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს. შესაბამისად, ვქმნით ჯანსაღ სამუშაო გარემოს, სადაც ადამიანებს თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა შეუძლიათ.

2. ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა

კომპანიის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორს წარმოადგენს სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებას 2017 წლიდან ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

კომპანიის კაპიტალში სახელმწიფო წილი შეადგენს 100%, რომლის მოცულობაც პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებლის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიხედვით 2023 წლის 28 ივნისის #1-1/246 ბრძანებით განსაზღვრულია 240 756 803 ლარით, 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა არაფულადი შენატანები, როლიც 5.715 ათას ლარს შეადგენდა.

საწარმოს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს; საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია.

3. კომპანიის მართვა და კადრები

პარტნიორთა კრება

პარტნიორის უფლებამოსილების განმახორციელებელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თავის უფლებებს ახორციელებს პარტნიორთა საერთო კრების (შემდგომში - „საერთო კრება“) საშუალებით, რომელიც შპს „ენგურჰესის“ უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს და მოიწვევა მინიმუმ წელიწადში ერთხელ.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა განსაზღვრულია 5 (ხუთი) წევრით.

2022 წლის ივნისში ენგურჰესის სამეთვალყურეო საბჭომ თავისი სტრუქტურის ფარგლებში დააარსა შემდეგი 3 კომიტეტი:

1. აუდიტის კომიტეტი;
2. რისკების მართვის კომიტეტი;
3. ანაზღაურების, ნომინირებისა და მმართველობის კომიტეტი.

თითოეულ კომიტეტს აქვს საკუთარი დებულება, რომელიც განსაზღვრავს მათ მანდატს, მოქმედების სფეროს და სამუშაო პროცედურებს

დირექტორთა საბჭო

დანიშნულია 4 დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ფინანსური, ტექნიკური და კომერციული დირექტორები, რომლებიც ქმნიან დირექტორთა საბჭოს და ახორციელებენ კომპანიის მიმდინარე ხელმძღვანელობას. საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ახორციელებს მართვის ფუნქციას და წარმოადგენს მთავარ დამაკავშირებელ რგოლს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის. დირექტორებს შორის უფლებები, პასუხისმგებლობა და მოვალეობები გამიჯნულია საწარმოს შინაგანაწესით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები მესამე პირებთან მიმართებაში ინდივიდუალურად ენიჭება დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს და ფინანსურ დირექტორს.

დირექტორთა საბჭო პასუხს აგებს კომპანიის ყოველდღიურ მართვასა და ადმინისტრირებაზე, სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორის მეთვალყურეობის ქვეშ. პარტნიორის თანხმობით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორთა საბჭოს წევრებს ნებისმიერ დროს.

პერსონალი

საწარმოში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 1106 თანამშრომელი.

საერთაშორისო არენაზე კომპანია დაჯილდოებულია სხვადასხვა საპატიო ჯილდოებითა და პრიზებით:

ბიზნესის ინიციატივათა საერთაშორისო კომიტეტის (BID) მიერ მართვის სისტემების გაუმჯობესებისა და ხარისხის მიღწევების კვლევებისა და შეფასების შედეგად უმაღლესი კატეგორიის ჯილდოთი.

ევროპის საერთაშორისო ხარისხის ასოციაცია "პარიზის კლუბის" მიერ ხარისხის და გამორჩეული საერთაშორისო ბიზნეს სახელის გამო უმაღლესი კატეგორიის ჯილდოთი.

ენგურჰესის თაღვან კაშხალს საქართველოს მთავრობის #456, 04.09.2015წ. დადგენილებით მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2020 წელს შპს „ენგურჰესი“ ხარისხის მენეჯმენტის, გარემოს დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემების მიმართულებით საერთაშორისო სერთიფიკატების მფლობელი გახდა. ორგანიზაციას ISO 9001:2015 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემა), ISO 14001:2015 (გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა) და ISO 45001:2018 (სამუშაო გარემოს, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მენეჯმენტის სისტემა) საერთაშორისო სერთიფიკატები გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაცია TÜV SÜD-ის საერთაშორისო აუდიტორების დასკვნის საფუძველზე მიენიჭა.

კომპანიამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, რომელიც ემყარება ზოგად მიზნებსა და ამოცანებს და რომელიც ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს. შემდეგ შემუშავებულ იქნა შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რომლებიც აღნიშნულ ამოცანებს აძლევს სტიმულს ჩვენი კომპანიის კონკრეტული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ეს სტრატეგია თავისუფლად ემყარება დაბალანსებული შეფასების სისტემის სტრატეგიული მართვის კონცეფციებსა და პრინციპებზე, როგორც ეს ასახულია ქვემოთ.

ენგურჰესის სტრატეგიის რუკა

უფრო საიმედო, ეფექტური და უსაფრთხო
ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოს
მოქალაქეებისთვის

გარემოს დაცვის,
მდგრადი და
მმართველობის
გაუმჯობესება

მოგებისა და
ელექტროენერგიის
ნაკადის გაზრდა

ფინანსური
ხელმძღვანელობის
გაუმჯობესება

საიმედოობის,
ეფექტურობის და
უსაფრთხოების
გაზრდა

↑ ფინანსური

ფინანსური რისკების
მართვის გაუმჯობესება

გადახდისუნარიანობის და
ლიკვიდურობის
გაუმჯობესება

საწარმოს შემოსავლების
გაზრდა

↑ პროცესი

ძირითადი ბიზნესის
ოპტიმიზაცია

კორპორატიული
მართვისა და ESG-ის
გაუმჯობესება

საიმედოობისა და
ეფექტურობის
გაუმჯობესება

↑ მომხმარებლები
და დაინტერესებული
მხარეები

მომხმარებლების
კმაყოფილების
გაუმჯობესება

სტრატეგიული
მართვის დანერგვა და
გაუმჯობესება

დაინტერესებული
მხარეების კმაყოფილების
გაუმჯობესება

↑ სწავლა და ზრდა

ტრენინგების
გაუმჯობესება
ინვესტიციები

თანამშრომლების
უსაფრთხოების
გაუმჯობესება

დაბალანსებული შეფასების სისტემის ძირითად პრინციპს წარმოადგენს კომპანიის შეფასება და მართვა დაბალანსებული ფორმით. ოთხი პერსპექტივა შეადგენს დაბალანსებული ქულებით შეფასების სისტემას. აღნიშნული პერსპექტივები ხელს უწყობს საწარმოს მენეჯერებს, რომ დაბალანსებული ფორმით შეისწავლონ ბიზნესის ყველა სფერო. სურათი წარმოადგენს ენგურჰესის „სტრატეგიული რუკის“ ერთ-ერთი გამოსახულებას, რომელიც აყალიბებს ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის ანალიზის, კომუნიკაციის, შეფასებისა და მართვის საფუძველს.

სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებით კომპანიას შემუშავებული აქვს შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI), რომლებიც აფასებს ფინანსურ კოეფიციენტებს ან შედეგებს და „არაფინანსური შესრულების ძირითად მაჩვენებლებს“:

მიზანი 1: შემოსავლის და ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა

მიზანი 2: გარემოსდაცვის, მდგრადობისა და მმართველობის გაუმჯობესება

მიზანი 3: საიმედოობის, ეფექტიანობისა და უსაფრთხოების დონის გაზრდა

4. ელექტროენერგიის წარმოება და კონტრაქტორებზე მიწოდება

2024 წელს კომპანიამ 3 373.7 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია გაუშვა სალტეზე, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯამში მიწოდებულ იქნა 1 484.5 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, ქვეყნის შიგნით რეალიზებულ იქნა 1 213.3 მლნ კვტ.სთ, ექსპორტზე კი 675.8 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია გავიდა,

ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს ენერგეტიკის კომისიის №77 დადგენილების (მიღებულია 2006 წლის 30 აგვისტოს) შესაბამისად, ენგურჰესი აფხაზეთის ტერიტორიას ელექტროენერგიას აწვდის ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, ამგვარად, აფხაზეთში ელექტროენერგიის მიწოდებიდან შემოსავალი და შესაბამისი დებიტორული შემოსავლები აღიარებული არ არის.

აფხაზეთის მოხმარების პერმანენტული ზრდა მძიმე მდგომარეობაში აყენებს კომპანიას, სიტუაცია ყოველწლიურად უარესდება და კონტროლიდან გამოდის, ზამთარი-ადრე გაზაფხულის სეზონზე ენგური და ვარდნილჰესები უკვე ვერ უზრუნველყოფენ აფხაზეთისათვის სამყოფი ელექტროენერგიის გამომუშავებას.

5. საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა

ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების მოთხოვნის თანახმად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხმარებული ელექტროენერგია იფარება "ენგურჰესისა" და "ვარდნილჰესის" ჰიდროელექტროსადგურებიდან უსასყიდლოდ (შესაბამისად – 85% და 15%), რაც ადრე ენგურჰესის წლიური გამომუშავების დაახლოებით 40%-ის ფარგლებში იყო, თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე გაზრდილი მოხმარების გამო აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 50%-ს აღემატება და შედეგად, საწარმო მძიმე მდგომარეობაში ვარდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოცულობა ზამთრის და ადრე გაზაფხულის თვეებში 100%-ს აღემატება, შედეგად "ენგურჰესისა" და "ვარდნილჰესების კასკადის" მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება ვერ აკმაყოფილებს აფხაზეთის მოხმარებას.

2024 წლის მონაცემებით ფულად მიმართებაში ელექტროენერგიის რეალიზაციიდან შპს „ენგურჰესის“ შემოსავალმა 58,1 მლნ ლარი შეადგინა, აქედან ადგილობრივ ბაზარზე 38,3 მლნ ლარის რეალიზაცია განხორციელდა, ხოლო ექსპორტზე კი 19,8 მლნ ლარის ელექტროენერგია გავიდა. ამასთან, კომპანიის მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული იქნა 35.8 მლნ ლარის ელექტროენერგია უსასყიდლოდ.

სხვა შემოსავლის სახით კომპანიამ მიიღო 115 ათასი ლარი, ესენია: შემოსავლები კომუნალურიდან, ჯართისა და ძველი სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია და იჯარიდან შემოსავლები. ფინანსურმა შემოსავლებმა, რომლებიც ძირითადად ანგარიშზე განთავსებულ ნაშთებს ერიცხება, 24 ათასი ლარი შეადგინა.

კომპანიამ საანგარიშო წელი ზარალით დაასრულა - 592 ათასი ლარი, რაც ძირითადად განპირობებულია გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 2024-2026 წლებისათვის შპს „ენგურჰესისა“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ დადგენილ იქნა ახალი ტარიფები, კომისიის 2023 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, 2024-2026 წლებისათვის „ენგურჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ტარიფი განისაზღვრა 2,412 თეთრი კვტ.სთ-ზე. თუმცა ამჯერადაც, სემეკ-მა ტარიფი გაიანგარიშა არა უშუალოდ რეალიზებული ელექტროენერგიის მოცულობიდან, არამედ მთლიანი გამომუშავებულიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური ტარიფით მისაღებ შემოსავლებში იქნება ასახული, რეალობაში კი ვერ მიიღებს და უთუოდ უფრო გაამძაფრებს კომპანიის წინაშე მდგარ ლიკვიდურობისა თუ სხვადასხვა რისკებს.

ენგურჰესის საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს სხვადასხვა და მრავალრიცხოვანი რისკი, შესაბამისად, კორპორაცია ცდილობს აღნიშნული რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგსა და აღმოფხვრას. ერთ-ერთ ძირითად რისკს წარმოადგენს სავალუტო კურსის ცვლილების რისკი უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებზე, განსაკუთრებით EBRD-ისა და EIB-ის მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ძირითადი ინვესტიცია ფინანსდება აღნიშნული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი სესხებით, რომლებიც გაიცემა ფინანსთა სამინისტროს მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ენგურჰესს გააჩნია უმნიშვნელო კონტროლი მასზე.

სხვა მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც გამომდინარეობს ენგურჰესის, როგორც ჰიდროელექტროენერგიის მაგენერირებელი კომპანიის (ჰესებზე დაფუძნებული) ფუნდამენტური ძირითადი საქმიანობიდან, მრავალფეროვანია და მოიცავს შემდეგს:

1. ტექნიკური ინციდენტების რისკები, რომლებიც ამცირებს ჰესების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავებას, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კლიმატური პირობებით (დაბალი ჰიდროლოგია და გვალვა), ყოველივე აღნიშნული კი ხდის ენგურჰესს ძლიერ სენსიტიურს კლიმატის ცვლილების მიმართ;

2. მისი მომხმარებლების მიერ გადაუხდელობის რისკი, რომლებსაც ხშირად აქვთ საკუთარი ფინანსური და ტექნიკური რისკები. აღნიშნული რისკის ნაწილია აფხაზეთის მხრიდან გადაუხდელობის ხანგრძლივი პერიოდი. ეს რისკი შეიძლება არსებითად შემცირდეს მომავალში საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის (GENEX) სრული ამოქმედებით.

3. ლიკვიდურობის რისკი ფინანსური დავალიანების მნიშვნელოვანი თანხების გათვალისწინებით, რომელიც გადასახდელია მომდევნო 5 წლის განმავლობაში მაშინ, როდესაც კომპანია არ უზრუნველყოფს საკმარის ფულად ნაკადებს აფხაზეთიდან შემოსავლების არარსებობის გამო; აღნიშნული აიძულებს კომპანიას, ზედმეტად დამოკიდებული იყოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერაზე.

4. არახელსაყრელი რეგულირებადი ტარიფების ცვალებადობის რისკი, რასაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში;

5. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის შემცირების რისკი, რაც აღინიშნა 2020 წელს კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო. ელექტროენერგიის მოხმარება დიდწილად კორელაციაშია მთლიან ეკონომიკურ საქმიანობასთან;

6. ენგურჰესისა და ვარდნილჰესების მდგომარეობის ეტაპობრივი ან დაჩქარებული გაუარესების რისკი, რომლებიც უკვე 44 წლისაა. აღნიშნული რისკი შემსუბუქებულია 2021 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული რეაბილიტაციის პროექტით. ამგვარი რეაბილიტაცია საჭიროა ყოველი 10-12 წლის განმავლობაში. ენგურჰესის პროფილაქტიური ტექნიკური მომსახურების პროგრამა ასევე ამცირებს დამატებითი გაუარესების რისკს;

7. მოულოდნელი სტიქიური უბედურებების რისკი, რაც გამოიწვევს ენგურის ჰესების დაზიანებას, თანამშრომლებისა და მომხმარებლების დაშავებას. სტიქიური უბედურებების ეს რისკი მოიცავს მიწისძვრის რისკს, ომის რისკს, არასასურველი მეტეოროლოგიური

მოვლენების, წყალდიდობის, გახანგრძლივებული გვალვების, პანდემიების რისკს, სხვა დაუგეგმავ ნეგატიურ მოვლენებს შორის;

8. პანდემიის ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გლობალური კრიზისის რისკი: პანდემიამ და ჯანმრთელობის სხვა გადაუდებელმა სიტუაციებმა შეიძლება შეანელოს ოპერაციები და გამოიწვიოს სერიოზული შეფერხებებიც კი;

9. ოპერაციული გამოწვევების რისკი, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემების რისკები და კიბერ-უსაფრთხოების რისკი. კიბერ-უსაფრთხოების რისკი ხაზგასმულია, როგორც მნიშვნელოვანი არსებული და მზარდი რისკი მეზობელ ქვეყნებში გეოპოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით;

10. დამატებითი რისკები მოიცავს სოციალურ და ეკოლოგიურ საკითხებს; თუმცა ასეთი რისკები მინიმუმამდე არის დაყვანილი ენგურჰესის ISO სერტიფიკატების წყალობით, ჰესების ეკოლოგიურად მართვის სისტემის, შრომის უსაფრთხოების დაცვისა და უსაფრთხოების მართვის და სხვა სერტიფიკატების ჩათვლით.

ენგურჰესი ორგანიზებას უკეთებს ყველა აღნიშნული რისკის უკეთ მართვას, გარკვეული მოქმედებებისა და ნაბიჯების პროაქტიულად განხორციელების გზით.

6. არაფინანსური ანგარიშება

ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსში შედის: ჯვარის წყალსაცავი (მოცულობა 1110 მლნ მ3); თაღოვანი კაშხალი (სიმაღლე 271.5მ); სადაწნეო გვირაბი (დიამეტრი 9.5 მ, სიგრძე 15.3კმ); „ენგურჰესი“ (სადაც დადგმულია 5 აგრეგატი, თითოეულის საპროექტო სიმძლავრე 260 მვტ-ია, სულ საწარმოს დადგმული სიმძლავრე შეადგენს 1300 მვტ).

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მდგომარეობის შესწავლის, აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების მასშტაბებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით 1997 წელს დაიწყო ენგურჰესის ნაგებობების შესწავლა-ანალიზი. 1998-2001 წლებში შემუშავდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროექტი. ენგურჰესის ელექტროტექნიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობების სარეაბილიტაციო სამუშაოები 2003-2014 წლებში განხორციელდა, 2006 წელს სადერივაციო გვირაბის ზოგიერთი მონაკვეთის რემონტი ჩატარდა.

ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხო და გამართული ექსპლუატაციის მიზნით 2018 წლიდან საქართველოს მთავრობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის დადებული ახალი საკრედიტო ხელშეკრულის საფუძველზე ენგურჰესის რეაბილიტაციის IV ფაზა - „კლიმატური პირობების გაუმჯობესება“ დაიწყო, რომლის მოცულობა 38 მილიონ ევროს შეადგენდა და აგრეთვე, ევროკავშირის მიერ რეაბილიტაციის პროგრამაზე დამატებით 7 მილიონი ევრო გამოიყო. სამუშაოების 2023 წლის ბოლოს დასრულდა.

ენგურჰესის საიმედო და გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად რეაბილიტაციის მეოთხე ფაზის პროექტი მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს:

- სამუშაოები ელექტროტექნიკურ და ჰიდრომექანიკურ მოწყობილობებზე ენგურჰესსა და ვარდნილჰესი 1-ში;

- სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია, რაც ყველაზე დაზიანებული უბნების გადაუდებელ რეაბილიტაციას გულისხმობს;

- ლამის ამოღება ენგურჰესის წყალსაცავიდან (კაშხლის მიმდებარე ტერიტორია);

- ჰიდროელექტროსადგურთან მისასვლელი გზების რემონტი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოების შპს „ენგურჰესი“, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შემდგომში მშენებლობის

პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფის მიზნით 2018 წლის 13 ივნისს დაფუძნებულ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“,

ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის დანიშნულებაა იაფი ელექტროენერგიის (ლამის საათები) ხარჯზე ენგურის წყალსაცავში წყლის უკუჩატუმბვისა და დამატებითი პიკური ელექტროენერგიის მიღება, ამასთან ზამთრის პერიოდში წყალსაცავში წყლის დონე ნაკლები ინტენსიურობით დამუშავდება. ასევე, შესაძლებელი იქნება ენგურჰესის მიერ ვერ ათვისებული წყალი გამოყენებულ იქნეს დამატებითი ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთების განხორციელების უზრუნველსაყოფად შერჩეული კომპანიის მიერ უკვე დასრულებულია I ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სავარაუდო პროექტის სახე, შეფასდა საინვესტიციო ღირებულება და მისი ადგილი ქვეყნის ელექტროსისტემაში, II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება 2023-2024 წლებშია დაგეგმილი.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მებონია

პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფის მიზნით 2018 წლის 13 ივნისს დაფუძნებულ იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ენგურის ჰიდრომაგუმულირებელი ელექტროსადგური“,

ჰიდრომაგუმულირებელი ელექტროსადგურის დანიშნულებაა იაფი ელექტროენერგიის (ლამის საათები) ხარჯზე ენგურის წყალსაცავში წყლის უკუჩატუმბვისა და დამატებითი პიკური ელექტროენერგიის მიღება, ამასთან ზამთრის პერიოდში წყალსაცავში წყლის დონე ნაკლები ინტენსიურობით დამუშავდება. ასევე, შესაძლებელი იქნება ენგურჰესის მიერ ვერ ათვისებული წყალი გამოყენებულ იქნეს დამატებითი ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

ჰიდრომაგუმულირებელი ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთების განხორციელების უზრუნველსაყოფად შერჩეული კომპანიის მიერ უკვე დასრულებულია I ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სავარაუდო პროექტის სახე, შეფასდა საინვესტიციო ღირებულება და მისი ადგილი ქვეყნის ელექტროსისტემაში, II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება 2023-2024 წლებშია დაგეგმილი.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



ლ. მემონია